ᲗᲝᲛᲑᲣᲚᲘ

№ 2

1929

შევაგროვოთ ქაღალდი.

საწყობებში, სახლებში და დაწესებულებებში ბევრი უვარგისი ქაღალდია. მოვაგროვოთ ის და ამით მივცეთ ჩვენს ქვეყანას ქაღალდი!..

ნორჩო პიონერებო და მოწაფეებო! თქვენ, ცხადია, იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ახლა მთელ ძალ-ღონეს იკრებს, აფართოებს თავის მრეწველობას, რომელიც მხოლოდ ახლა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიდის წინ სწრაფი ნაბიჯით. თუ მრეწველობას არ განვავითარებთ, ჩვენ ისე ვერ შევძლებთ ჩვენი ჩამორჩენილი გლეხური ქვეყხის სამრეწველო ქვეყანად გარდაქმნას. წინათ ჩვენი ქვეყანა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კლანჭებში იყო, და ჩვენი მრეწველობა სუსტი და პატარა იყო, ახლა კი ჩვენი ქვეყანა საზღვარგარული კაპიტალისაგან სრულიად დამოუკიდებელი უნდა გახდეს.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი ცდილობს რაც შეიძლება ცოტა შემოზიდოს საზღვარგარეთიდან, სადაც ის ყიდულობს მხოლოდ ისეთ რაშეებს, რასაც ჩვენ ჯერჯერობით ვერ გავაკეთებთ, ან სულ არ იშოვნება აქ.

ჩვენში წინათ საზღვარგარეთიდან შემოქონდათ ქაღალდი, ახლა კი ძალიან ცოტა შემოგვაქვს, ქაღალდი კი ძალზე გვჭირდება, ვინაიდან უიმისოდ არ გვექნება ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები, ხოლო თუ ყოველივე ეს არ გვექნა, კულტურაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. ახლა ჩვენი ქვეყანა დროებით ქაღალდის კრიზისს განიცდის და ეს კრიზისი, რათაც გიხდა დაგვიჯდეს, უნდა დავძლიოთ. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა საკუთარი ძალ-ღონით გავაკეთოთ ეს და არ შემოვიტანოთ ქაღალდი საზღვარგარეთიდან.

უკვე გამოყენებული, ხახმარი ქაღალდი შეიძლება ისევ გადაკეთდეს და გამოსადეგი გახდეს. ამას იზამენ ჩვენი ქაღალდის ქარხნები, რომლებიც უვარგის ქაღალდს ქაღალდის ფაფად აქცევენ და გახსაკუთრებული სპეციალური ქიმიური ხივთიერებებით მოაშორებენ საღებავსა და მელახს, შემდეგ კვლავ გადაამუშავებენ და ძანქანების მეოხებით მოგვცემენ უკვე სუფთა, ჩვენთვის ფრიად საჭირო ქაღალდს.

საწყობებში, კანცელარიებში, დაწესებულებებში, კლუბებში და სახლებში აუარებელი გამოუსადეგარი ქაღალდია: ძველი, უსარგებლო წიგნები და სხვ. პიონერებს ასეთი რამის გაკეთება შეუძლიათ: ტფილისში ყოველდღე აუარებელი ხალხი დადის ტრამვაით; თუ ყოველ ტრამვაის გაუკეთებენ პიონერები ყუთს, რომელშიც უნდა ჩაიყაროს უკვე გამოყენებული ტრამვაის ბილეთები, ძალიან ბევრი ქაღალდი მოგროვდება ყოველდღე.

თუკი შევაგროვებთ უვარგის ქაღალდს, ამით ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდ დახმარებას გავუწევთ, და ეს უნდა იკისრონ პიონერებმა. შინ უნდა აუხსნან პიონერებმა ოჯახის წევრებს, რომ ქაღალდი ტყუილა-უბრალოდ არ უნდა დაწვან, არ უნდა გადააგდონ, რომ ყოველი პიონერი ვალდებულია შეაგროვოს ქაღალდი ქვეყნისთვის. ბავშთა მოწინავე კომუხისტური კოლექტივის პიონერული ვალია პირველი გამოვიდეს პროლეტარული სახელმწიფოს დასახმარებლად.

პიონერებმა უნდა შესძლონ ჩვენი რესპუბლიკის 300.000 მოწაფის დარაზმვა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოხრდილი მოსახლეობის ამოძრავება, რომ მისცენ ქაღალდი ჩვენს ქვეყანას. ამით ჩვენ შევამცირებთ ქაღალდის კრიზისს და ძალიან დიდ სამსახურს გავუწევთ ქვეყანას. იმ ფულს, რომელსაც მივიღებთ მოგროვებულ ქაღალდში, ჩვენ გადავცემთ იმ საბავშო სახლებს, რომლებსაც ბევრი რამ აკლიათ უსახსრობის გამო.

მაშ, პიონერებო, მედგრად მოვკიდოთ ხელი ამ დიდ საქმეს, მოვედოთ კანცელარიებს, დაწესებულებებს, საწყობებს, ეზოებს და საკუთარ ბინებსა და სახლებს უვარგისი ქაღალდის შესაგროვებლად.

ნუ შევირცხვენთ თავს! ჩვენს ქვეყანას, ეს უკვე ყველამ იცის, სჭირდება ჩვენი დახმარება. თითოეული კოლექტივის, თითოეული სკოლის საქმიანობა იმით შეფასდება, თუ რამდენ ქაღალდს მოაგროვებს იგი. პიონერი ვალდებულია დარაზმოს ამ საქმისთვის მთელი მოსახლეობა. ფეხზე დააყენეთ ქაღალდის მოსაგროვებლად სკოლები, დიდების ორგანიზაციები, პირველ რიგში კი კომკავშირის უჯრედები, ილაპარაკეთ ამის შესახებ ყველა კრებაზე, მოუწოდეთ ყველას ქვეყნისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

ის კოლექტივი, რომელიც გაემართება ქაღალდის შესაგროვებლად, მართლაც რომ ღირსი იქნება ატარონ პიონერ-კოლექტივის სახელი.

გაემართეთ სალაშქროდ, პიონერებო, ავავსოთ შეგროვებული ქაღალდით ჩვენი ქაღალდის ტრესტეის საწყობები.

როდესაც გადამუშავდება, ჩვენ მიერ შეგროვებული ქაღალდი წავა ქალაქებსა და სოფლებში წიგნების, ჟურნალ-გაზეთებისა და ბროშურების სახით, რომ თითოეული მშრომელის გაკულტურონებას შეუწყოს ხელი.

გასწიეთ, პიონერებო, წინ, თქვენ გამოგყვებიან მასები.

შინაარსი:

	გვ.
1. შევასრულებთ ლენინის ანდერძებს — **შ. ასტაშევა**	2
2. ლენინისადმი — ლექსი — **ვ. ჟურულის**	3
3. ილიჩის ბავშობა — **ნ. ნ—ის**	4
4. მებრძოლი — **შ. ესებუასი**	6
5. 9 იანვარი — ლექსი — **ლუტუ იასვილის**	9
6. ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდენ ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი	10
7. გზა ქალაქისკენ — ლექსი — **ალ. ადამიასი**	11
8. ძასწავლებელი — ლექსი — **ს. ეულის**	11
9. პიონერთა კულტ-ლაშქრობა — **შ. ა—სი**	12
10. ტფილისის პიონერთა ბრძოლა კულტურისათვის — **ე. შმერლინგის**	12
11. ჩვენი ცოცხალი საქმე	14
12. ტაიგის გმირი — მეცნიერი კულიკი — **სანის**	16
13. ბაგა ზღვის პირას — **ს. ერთაწმინდელის**	17
14. ზღვის საიდუმლოებანი — **ისრის**	18
15. იტალია — **ა. გორგაძის**	19
16. შევაგროვოთ ქაღალდი — გარეკანის მე-2 გვერდზე.	
17. ლენინ — ბუსიკა **კოკელაძის**, სიტყ. **ა. ნაშაშვილის** — გარეკანის მე-3 გვერდზე.	

329.153(05)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იუაგ მზადა

პიონერი

1929
30 იანვარი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 2

პოლიტარული რევოლუციის ბელადი ამხ. ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევასრულებთ ლენინის ანდერძებს.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რადიოტალღებმა ამცნეს მთელ მსოფლიოს ამბავი **ლენინის** გარდაცვალება. მსოფლიო პროლეტარიატის გული სევდამ მოიცვა მტერთა სასიხარულოდ. მტრებს ეგონათ, რომ ლენინის სიკვდილთან ერთად მოკვდებოდა მისი იდეები, მაგრამ მხოლოდ ეხლა ხედავენ, რომ ისინი ძალზე შეცდენ.

მსოფლიო პროლეტარიატმა ფიცი დასდო ლენინის წინაშე, რომ არ დაჰყრის იარაღს, სანამ ბოლოს არ მოუღებს პროლეტარიატის ჩაგვრას და ყველა ქვეყანაში არ ააფრიალებს ლენინის წითელ დროშას.

მთელი ქვეყნიერების მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების დახმარებით გასწევს წინ, რომ შეასრულოს დიდი ლენინის ანდერძი და იდეა: კომუნიზმი.

ჩვენ ბრწყინვალე ვარსკვლავივით გვინათებს გზას ლენინიზმი.

იმ დროს, როდესაც ჩვენს პიონერ-ორგანიზაციებს დავარქვით ლენინური, მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ რამდენიმე ათასი პიონერი იყო, მაგრამ ეხლა ჩვენი ორგანიზაცია ისე გაიზარდა, რომ მას 2000000 წევრი ჰყავს.

ჩვენი ლენინური ოჯახი ივსება ახალ-ახალი წევრებით, მუშების და გლეხების შვილებით, რომლებიც მილიონი ხელებით ატარებენ ლენინის დროშას.

ჩვენ, პიონერები, რომლებიც ვატარებთ ლენინის სახელს, ღირსეულად შევასრულებთ ლენინის ანდერძს.

ჩვენ ვიბრძვით ლენინის იდეების საბოლოო განხორციელებისათვის.

ჩვენ გაბედულად გადავდგამთ ნაბიჯებს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან ერთად, ჩვენ გავამხნევებთ ჩვენს უფროს ძმებს ახალი ბრძოლებისათვის.

ლენინს მთელი თავისი არსებით სძულდა მჩაგვრელები. მან შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე მჩაგვრელებისაგან მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს.

ლენინის გარდაცვალების დღეს ჩვენ, ნორჩი ლენინელები, ფიცსა ვდებთ ბელადის წინაშე, რომ მთელი ჩვენი ენერგიით ვატარებთ მაღლა ლენინიზმის დროშას, სანამ არ ავიტანთ მას საბოლოო მიზნის მწვერვალამდე.

ლენინის დღეებში მთელი საბჭოთა კავშირ შეხარის სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს და ითვალისწინებს ნაკლოვანებებს მათი გამოსწორების მიზნით.

პიონერ-ორგანიზაციაც ითვლის საკუთარი ორგანიზაციის და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მიღწევებს.

ჩვენ უფრო მეტი ენერგიით შევამჭიდროვებ ჩვენს რიგებს, მოვსპობთ ჩვენს საქმიანობაში ყველგვარ უარყოფით მხარეს და ღირსეულად ვატარებ ლენინის სახელს.

შ. ასშევა.

ხუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დავკარგეთ ჩ[illegible] ბელადი. ლენინი დავკარგეთ, მაგრამ ის ყოველ ჩვენგანში ცხ[illegible]ლობს. ყოველი პიონერი, ყოველი კომკავშირელი და ყოველი [illegible] შევიკრ[illegible] მკერდში ლენინის გულს ატარებს.

გამარჯვების დროშებს ვხრით დიდი ბელადი[illegible] ხსოვნის წინაშე!

ლენინი მრავალ მილიონებში იზრდება!

7. [illegible] ლენინი — [illegible]
8. მასწავლებელი — ლექსი — [illegible]
9. პიონერთა კულტ-ლაშქრობა — [illegible] . . 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ცივი იყო თვე იანვარის,
როცა ლენინზე გლოვობდა კრემლი.
დროებით შესწყდა სისინი ქარის.
ქუჩაში ქვასაც სდაოდა ცრემლი.

მწუხრით დალაგდა გულს იარები,
მოჰქონდარ მუშებს ბელადის კუბო.
თოვლით და ყინვით მგლოვიარებდა
ცა ჩაბინდული, ცა უპირქუბო.

დუმილი იგრძნო ქვეყანამ მაშინ,
ხუთეულ წუთით გახდა ის წყნარი.
და შეასვენეს ცივ აკლდამაში
ნეშტი ძვირფასი, დაუვიწყარი.

როცა დროშები დაბლა დახარეს,
კუბოს წინაშე შელონდა გული.
ბინდი გადეკრა საბჭოთა მხარეს,
ქვეყანაც ბინდით იყო ქარგული.

ეს იყო წინად, ხუთი წლის წინად,
დღეს კი ლენინზე ათავრ ტირ ს.
ღრუბლიანი ცა გადაიწმინდა,
გაქრა ბურუსი, ნისლი ნაპირის.

აქ მონობიდან ხმაურით, მტკვრევით
ამბოხებული მოსულა ხალხი,
დე, ვერაგულად მოვარდეს მტერი,
ლენინის დროშას ძირს ალაო დაცხრით!

ჩვენი ქვეყანა მზით ანთებულა,
რომ არ დაეკარგეთ ბრძოლაში სადმე..-
ვიელით ხელი-ხელჩაკიდებულად
მშენებლობიდან კომუნისძალდე.

ვარლამ ყურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიჩის გავშოგა.

მე წილად მხვდა ბედნიერი შემთხვევა ვყოფილიყავი ლენინის ბავშობის მოწმე.

ჩვენ ტოლები ვართ, და ჩვენი მეგობრობა დაიწყო 8 წლის ასაკიდან და გაგრძელდა 15 წლამდე, როდესაც მე სტამბაში შევედი; სტამბაში მუშაობა მთელ დროს მართმევდა და მისპობდა მეგობართან შეხვედრის საშუალებას.

ჩემი და ვლადიმერ ულიანოვის მეგობრობის დროიდან ისე დიდი ხანი გავიდა, რომ მე აღარ ძალმიძს აღვადგინო ჩემს მეხსიერებაში ჩვენი დამოკიდებულება მთლიანად და შემიძლია მოვიგონო მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც განსაკუთრებით აღბეჭდილია ჩემს მეხსიერებაში.

ულიანოვის ოჯახი ცხოვრობდა საკუთარ სახლში, მოსკოვის ქუჩაზე. ოთახების მდებარეობა სახლში დღემდეც უცვლელია.

ვალოდიას ოთახის ერთადერთი ფანჯარა ეზოში გამოდიოდა.

თვით სახლიც უცვლელია, მაგრამ დღეს მის გარეშემო არემარე უკვე ის აღარ არის. ეზოს უკან მაშინ იყო დიდი ხეხილის ბაღი, რომელიც ვარდისფერი კედლით გამოდიოდა პოკროვსკის ქუჩაზე, სადაც ეხლა შტემპელის სახლია.

ამ ბაღის ბოლოში იმ დროს იყო პატარა სახლი, რომელშიც ვცხოვრობდით მე და ჩემი დედა; ბინა ნაქირავები გვქონდა ულიანოვებისაგან.

ვლადიმერ ილიჩის მამის, ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვის, გარეგნობა მე კარგად დამამახსოვნდა.

ის იყო საშუალოზე დაბალი ტანის, შავგვრემანი, მელოტი. გრძელი თმები ჰქონდა საფეთქელთან ჩამოშვებული.

ის იცვამდა თითქმის ყოველთვის გრძელ სერთუკს ბრჭყვიალა ფოლაქებით — სახალხო სასწავლებლების დირექტორის ფორმას.

თავის მდგმურებს, რომელთა შორის იყვნენ ღარიბები, ილია ნიკოლოზის ძე დიდი კაცთმოყვარეობით ეპყრობოდა.

ის იყო პატარა ტანის, ნახევრად ქერა, უფერული, წყნარი და ავადმყოფის შთაბეჭდილებას ახდენდა, განსაკუთრებით ალექსანდრე ილიას ძის — ლენინის უფროსი ძმის—ჩამოღრჩობის შემდეგ.

ჩემი დედა ღარიბი იყო და არა ერთხელ სარგებლობდა ილიჩის დედის დახმარებით. მახსოვს, ერთხელ, როცა ჩასაცმელი არაფერი მქონდა, მან მომცა ვალოდიას თეთრეული და ტანსაცმელი.

ვალოდია ულიანოვი გარეგნობით გეგონებოდათ უფრო ახალგაზრდა თავის წლოვანებასთან შედარებით. ის იყო პატარა ტანის, სუსტი აგებულობის, ქერა, მუდამ თმამოკრეჭილი.

ჯერ კიდევ მაშინ ვალოდია განირჩეოდა თავისი ტოლებისაგან არაჩვეულებრივი ნიჭით. ის პირველ მოწაფედ ითვლებოდა გიმნაზიაში, დაამთავრა ოქროს მედლით, და მეც რამდენიმე წლის განმავლობაში ვ-წავლობდი ჩემს გაკვეთილებს ვალოდიასთან ერთად და მუდამ ვსარგებლობდი მისი დარიგებებით.

მაგრამ ვალოდიამ იცოდა თამაშობა და ცელქობაც, როგორც არავინ მის ტოლებს შორის. ის ძლიერ მხიარული იყო, უყვარდა ბავშებში ყოფნა და მისი თამაშობა და ცელქობა მუდამ უწყინარი იყო.

ზაფხულში ვალოდიას სასიამოვნო გასართობი იყო თევზის ჭერა და ბანაობა.

ჩვენ ორივე მუდამ ერთად ვბანაობდით სვიამაში.

ვთევზაობდით უმეტესად ამავე სვიამაში, ვუშვებდით ანკესებს „ვოდოვოზის“ ხიდიდან.

აქ ქარხნის ეზოში იყო მაშინ ღრმა ბინძური თხრილი, სადაც ჩვენ გადავწყვიტეთ როგორღაც გვეცადა ბედი და ჩავუშვით ანკესები. ამ ცდის დროს კინაღამ დაიღუპა ვალოდია, რომელიც ანკესის ჩაგდებისას დაცურდა და ჩავარდა სილიან თხრილში და კიდეც დაიღრჩობოდა, რომ ჩვენ ყვირილზე არ მოერბინა ქარხნის მუშას და არ გადაერჩინა.

იმ დღეს ცუდი დღე დაგვაყენა ორივეს ილია ნიკოლოზის ძემ.

შემოდგომაზე ვიჭერდით ჩიტებს, რომლებიც ვალოდიას ძლიერ უყვარდა.

მახსოვს, ერთხელ ჩიტის გულისათვის ჩხუბი მოგვივიდა. მე ხელი ვკარი და გადმოვაგდე ზვინიდან მსოფლიო პროლეტარიატის მომავალი ბელადი. საბედნიეროდ, მას არაფერი უტკენია, მაგრამ ძლიერ შეშინდა მისი დედა.

ჩიტები ჩვენს საერთო საკუთრებას შეადგენდენ. ზოგჯერ მოგვესურვებოდა სხვა ჯიშის ჩიტების შეძენა, როგორიც ჩვენ გვაკლდა; მაშინ ვალოდია სთხოვდა თავის მშობლებს ფულს უფრო იშვიათი ჩიტების საყიდლად; ეს ნაყიდი ჩიტები საერთო ქონებას ემატებოდენ.

ზამთარში ულიანოვების ეზოში ვაკეთებდით ყინულის გორაკებს და ვაცურებდით ერთმანეთს ციგით.

მთელი დღის განმავლობაში გაყინული, ყოველდღე ჩაის ვსვამდი, ხშირად კიდეც ვსადილობდი ულიანოვების სახლში, ხშირად საკუთარი სადილი არც კი მქონდა.

ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვთან ბევრი ხალხი დადიოდა, მაგრამ იმათგან ორი მაგონდება: ულიანოვის მეგობარი — ივანე იაკობის ძე იაკოვლევი, ჩუვაშის სკოლის ყოფილი დირექტორი, და კონ-

სტანტინე ანდრიას ძე მატორინი, გალობის მასწავლებელი, რომელიც ცნობილი იყო მთელი სიმბირსკისათვის თავისი სისულელეებით. მატორინი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც მოკვდა, დღემდე ახსოვთ სიმბირსკელებს, ის გალობას ასწავლიდა სკოლებში და იყო რეგენტად სამების ეკლესიაში.

კ. ა. მატორინი ქებული იყო თავისი სიძუნწით. ის ოცი წლობით ატარებდა ერთსადაიმავე პალტოს, ზუზომოდ უფრთხილდებოდა მას, ერთ შაურზე ევაჭრებოდა პარიკმახერებს, ბაზრის ვაჭრებს და სხვ.

მახსოვს შემდეგი შემთხვევა: მატორინს, როდესაც ის მოდიოდა ულიანოვებისას, პალტოს ჯიბეში ყოველთვის მოუჩანდა ბულკი, რომელიც დიდად გვაკვირვებდა მე და ვალოდიას.

ერთხელ, ჩემი ინიციატივით, ჩვენ ამოვიღეთ ბულკი მატორინის პალტოს ჯიბიდან და დავმალეთ. გაიგო რა ბულკის დაკარგვა, მატორინმა შესჩივლა ილია ნოკოლოზის ძეს. როდესაც საქმე გამოირკვა, ვალოდიამ თავის თავზე მიიღო დანაშაული, რადგანაც შეეშინდა იმის, რომ ჩემთვის არ აეკრძალათ მასთან მისვლა.



პიონერების კულტ-ლაშქრობა ზუგდიდის მაზრაში.

მეორეჯერ იმავე მატორინს გაცვეთილ კალოშებში ნაგავი ჩავუყარეთ, რისთვისაც სასტიკად დაგვსაჯა ილია ნიკოლოზის ძემ.

მახსოვს ილია ნიკოლოზის ძის დასაფლავება. მას პანაშვიდი გადაუხადეს სამების ეკლესიაში, მე მაშინ მატორინის მგალობელთა გუნდში ვმსახურობდი და მონაწილეობა მივიღე მის პანაშვიდში.

ილია ნიკოლოზის ძე დაასაფლავეს პოკროვსკის მონასტრის სასაფლაოზე, სიროტის ქუჩის მახლობლად.

1885 წლიდან მე ვალოდია აღარ მინახავს და მხოლოდ მაშინ, როდესაც იფეთქა რევოლუციამ და მის საჭეს დაეპატრონა ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი, ჩემი ბავშობის მეგობრის სურათი ნათლად წარმომიდგა მეხსიერებაში.

1921 წელს მე ვიყავი მოსკოვში სამსახურის საქმეზე და ძლიერ მინდოდა ვლადიმერ ილიჩის ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხე, რადგანაც დრო აღარ მქონდა იმიხათვის, რომ მეზრუნა კრემლში შესასვლელი ნებართვისათვის. მოკვდა პროლეტარიატის წინამძღოლი, რევოლუციონური რუსეთის უდიდესი ადამიანი, რომელიც იყო ჩემი ბავშობის ერთადერთი მეგობარი.

ბავშობაზე მე საუკეთესო მოგონებები მაქვს, და ამ მოგონებებში ყველაზე უკეთესი ვალოდია ულიანოვის სახეა.

სტამბის მუშა ნ. ნ—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



I

საქართველოში 1917—1920 წლებში ისეთსავე ცუდ პირობებში იმყოფებოდა მშრომელი კლასი, როგორც თვითმპყრობელობის დროს.

სიმშილი, სიცივე და უსამართლოდ დევნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თუ ვინმე გაბედავდა სიმართლის თქმას, მას ატუსაღებდენ და უწყალოდ სტანჯავდენ. დატუსაღებულების ცოლ-შვილს, უპატრონოდ და ულუკმაპუროდ დატოვებულს, ეხმარებოდა კომპარტიის არალეგალური კომიტეტი.

აუტანელი პირობები სულს უხუთავდა მუშა ნესტორს, რომელიც შენატროდა რუსეთის მუშებს და ბევრჯერ გულზე ხელის დარტყმით ამბობდა: „როდის იქნება, ნეტავ, რომ ჩვენც თავისუფლები ვიყოთ, როგორც რუსეთის მუშები!“ ერთ დღეს სწორედ ამ ფიქრში იყო ნესტორი, როდესაც მეორე ოთახიდან ბავშების ტირილი შემოესმა: ისინი დედას შემოხვეოდენ და ეხვეწებოდენ:

— დედა, მშია, მაჭამე რამე, მშია!..

პატარა ბავში დედისკენ მიფორთხავდა ტირილით, ძუძუს ითხოვდა. შუათანას ყველასთვის მოესწრო და ჭადის უკანასკნელი ნატეხი აეღო, რომელსაც მადიანად შეექცეოდა.

— დაიცათ, შვილებო, ახლავე გამოცხვება ჭადი! — სთქვა დედამ და კერაში ჩაკრულ ჭადს ნაღვერდალი დაუმატა. კოტე მამასთან გავიდა და დაინახა, რომ მამამისი მოწყენილი იყო, ამიტომ უხმოდ მივიდა და გვერდით მოუჯდა.

ნესტორმა თავი ასწია და უთხრა: „შვილო, რა გითხრეს სწავლის ფულისთვის დღეს?“

— რა მითხრეს, მამილო, და დილითვე უკან გამომაბრუნეს. თუ სამ დღეში არ შემოიტან ფულს, სულ გაგისტუმრებთ სკოლიდანო.

ნესტორს ბრაზი მოერია, თითებს დაუწყო მტვრევა. ის ფიქრებმა გაიტაცა, მაგრამ ამ დროს შემოესმა ძაღლის ძლიერი ყეფა და ხმა:

— ნესტორ, ჰეი, ნესტორ!..

ნესტორი საჩქაროდ გაეშურა კარებისაკენ.

კატო ამ დროს ბავშებს აძინებდა და მიმავალ ნესტორს შეეძახა:

— ნეტავ ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისა?

— ივანე არის, მგონი. ვნახოთ, რა ამბავია.

ნესტორმა გააღო კარი და გავიდა ეზოში.

— ვინა ხარ, კაცო?

— ივანე ვარ, საქმე მაქვს შენთან.

ნესტორი მიესალმა ივანეს და უთხრა:

— კაცო, რა ამბავია, გაჭირვება ხომ არაფერი გადგია?

— არაფერი ისეთი, მაგრამ ცოტა მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს შენთან და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში დამეხმარები... გუშინწინ სასამართლოში ირჩეოდა კალისტრატე მუნჯიაშვილის საქმე. შენც კარგად იცი, მგონი, მისი ვინაობა.

— ძალიან კარგად, როგორ არ ვიცი.

— ჰოდა მას დახვრეტა გადაუწყვიტეს, ბრალს სდებენ, რომ ის აწვდიდა ცნობას რუსეთის ბოლშევიკურ პარტიას ჩვენი მუშების გაჭირვების შესახებ. ამაღამ განაჩიადისას დასახვრეტად გამოიყვანენ. როგორმე აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ. აქ მახლავს ხუთი შეიარაღებული ამხანაგი. შენთვისაც მოვიტანეთ თოფი და ტყვიები.

ნესტორი დაფიქრდა. თვალწინ წარმოუდგა ცოლშვილი, როგორ უპატრონოდ დარჩებოდენ ისინი, მას რომ რაიმე დამართოდა... ნესტორმა ივანეს თანხმობა გამოუცხადა, შემობრუნდა და სახლისაკენ გაეშურა, კატო კი ბავშს ისევ ძუძუს აწოვებდა.

— ვინ იყო?

— ივანე არის და მთხოვს გავყვე, რაღაც აუცილებელი საქმე აქვს. მალე დაბრუნდები.

ნესტორმა მოიხურა ნაბადი და საჩქაროდ გავიდა.

II

კალისტრატე მუნჯიაშვილი მუშა იყო და ამავ-თანავე კომპარტიის წევრი; ის არალეგალურად კავშირს აბამდა რუსეთის მუშებთან. კალისტრატე მუდამ ელაპარაკებოდა მუშებს, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა იმ ბრძოლას, რომელსაც ისინი რუსეთის მუშებთან ერთად აწარმოებდენ მტრის წინააღმდეგ.

კალისტრატეს მუშაობის შესახებ ადმინისტრაცია [illegible] ისეთი

მომენტი, როდესაც მას შეისწრებდა მთავრობის საწინააღმდეგო საქმის კეთების დროს.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც კალისტრატეს დაგროვილი ჰქონდა რამდენიმე მოწოდება, რუსეთის მუშების მიერ საქართველოს მუშებისადმი გადმოგზავნილი, მთავრობამ დააპატიმრა იგი.

კალისტრატეს ძლიერ მაგრად მოკიდეს ხელი და რამდენიმე კვირის განმავლობაში ასამართლებდენ.

ერთ დღეს კალისტრატე ხელ-ფეხშებორკილი წაიყვანეს სასამართლოში. მისმა ცოლშვილმა არც კი იცოდა ეს, მაგრამ იმ დღეს შემთხვეევით მისი ცოლი მარიამი და შვილი ნოე წამოსულიყვენ სასამართლოში.

— უკაცრავად, ბატონო, სად შეიძლება მუნჯიაშვილის საქმის გაგება? — ჰკითხა მარიამმა ვილაც კაცს.

მსახურმა უსიტყვოდ მიუთითა დარბაზის ღია კარისაკენ, საიდანაც ხალხი გამოდიოდა.

როდესაც დარბაზში შეეიდა, დაინახა კალისტრატე, რომელსაც თოფიანი კაცები სდარაჯობდენ. მარიამი შეშინდა და ის-ის იყო ფუნდა წაქცეულიყო, მაგრამ თავი შეიმაგრა და კარს მიეყრდნო.

დაინახა თუ არა მამა, ნოე მაშინვე იქითკენ გაეშურა და თან ყვიროდა:

— დედა, მამა აგერ ჩის! — და თან გარბოდა კალისტრატესკენ.

ბავშის მიახლოებისას მცველებმა თოფი მოიმარჯვეს და თავში დარტყმას უპირებდენ, რომ იქ მყოფ ქალს არ შეეჩერებია ბავში.

ნოე შემოტრიალდა და ბრაზიანი თვალებით შეუბღვირა თოფიანებს. შემდეგ მოიხედა და დაინახა, რომ მარიამი ისევ უძრავად იყო მიყრდნობილი კარებზე.

უეცრად გაისმა:

— „სასამართლო მობრძანდება!“

ხალხი წამოდგა და გაფაციცებით მოელოდა განაჩენის წაკითხვას.

სასამართლოს თავმჯდომარემ დაიწყო განაჩენის წაკითხვა. ხალხი ღელავს... ყველანი მოუთმენლად ელიან მის დაბოლოებას.

— კალისტრატე მუნჯიაშვილს აეხადა ყოველი ღირსება და მიესაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მარიამი კიდევ ვერ გამორკვეულიყო ფიქრებისგან... მან გადაისვა პირისახეზე ხელი, ფართოდ გაახილა თვალები და ცდილობდა გამოერკვია — სიზმარში იყო ეს ყოველივე, თუ სინამდვილეში ხდებოდა. მალე მოვიდა გრძნობაზე და გაისმა მისი შემზარავი ხმა. თმაგაწეწილი და ფერწასული მარიამი კალისტრატესაკენ გარბოდა. გვარდიელებმა ის ახლოს არ გაიკარეს და თოფის კონდახის ცემით უკანვე გამოაბრუნეს. ნოე ქვითინებდა:

— მამა, მამა!

ტუსალი დარბაზიდან მეორე ოთახში გაიყვანეს. გავიდა რამდენიმე ხანი, და შეიარაღებულმა გვარდიელებმა გამოიყვანეს ხელ-ფეხზე ბორკილდადებული კალისტრატე.

მარიამი ამ დროს გაფითრებული იდგა დერეფნის კუთხეში და უძრავად შესცქეროდა ქმარს.

III.

როდესაც კალისტრატე სასამართლოდან ციხეში მიყავდათ, ქუჩაში მის დასანახავად ხალხი მრავალ ადგილას ჯგუფად შეგროვილიყო.

— ნეტავ რა დააშავა, რომ ეგრე გაკოჭილი მიჰყავთ?

— ალბათ, კაცის მკვლელი იქნება, — უპასუხა მეორემ.

აგერ მეორე ადგილას ხალხში მუშა ჩამდგარიყო და ალშფოთებული ხმამაღლა ლაპარაკობდა:

— ამხანაგებო, ერთი მითხარით, როდის უნდა მოელოს ბოლო ასეთ უსამართლობას, როდის იქნება ამ დამყაყებული მთავრობის აღსასრული? დღეს თუ მუნჯიაშვილი მიყავთ დასახვრეტად, ხვალ ჩვენ წაგვიყვანებენ. ხედავთ, როგორ შეუკოჭავთ? გეგონებათ, ავაზაკი დაუჭერიათო!..

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გვარდიელის ყურს ჩასწვდა ეს სიტყვები, რომელმაც თოფის კონდახით ჩააჩუმა ის და წინ გაიგდო.

როდესაც ციხეში მიიყვანეს კალისტრატე, ტუსალებმა იცნეს ის და დაიწყეს ძირს ჩამოსვლა, მაგრამ ამ დროს გვარდიელებმა დაუყვირეს:

— არ გაბედოთ ჩამოსვლა...

— დაიშალეთ...

— საკანში შედით...

ტუსალები თავზარდაცემულნი შეჩერდენ კიბეებზე. ისინი გაოცდენ, როდესაც დაინახეს, რომ მუნჯიაშვილი საკანის მაგივრად ნესტიან სარდაფში მიყავდათ.

ტუსალების კომიტეტის წევრებმა ველარ მოითმინეს და ციხის უფროსს მიაძახეს:

— მაგრ არ ეკუთვნის ნესტიან სარდაფში დამწყვდევა, ეს უკანონობაა!..

ციხის უფროსს პასუხი არ გაუცია მათთვის და გვარდიელებს დაუყვირა:

— რას დაგილიათ პირი, ესროლეთ და დაშალეთ ეგ ავაზაკები.

უფროსის ბრძანებისთანავე თოფიც გავარდა, და გაისმა დაჭრილი ტუსაღის საზარელი ღრიალი. გამწარებულმა კალისტრატემ ვერ მოითმინა და დაუყვირა გვარდიელებს:

— ჯალათებო, სისხლის მსმელებო, რას ერჩით დამწყვდეულ ხალხს, სიმართლეს არ ათქმევინებთ, განა!..

ამ დროს რაღაც მძლავრად დაარტყეს ზურგში, სათქმელად მომზადებული სიტყვა მუცელში ჩაუვარდა. ის შეაგდეს ბნელ ნესტიან სარდაფში.

იმ ღამეს კალისტრატეს თვალებს ძილი არ მიკარებია და ფიქრობდა, თუ როგორ უნდა დაეღწია თავი განსაცდელისაგან.

თენდება. ღამე მიიპარება, და არემარეს დღე ეუფლება. კალისტრატე მისჩერებია პატარა ჭუჭრუტანას, რომელიც ფანჯრის ნაცვლად არის დატოვებული. ამ დროს ფანჯარაში ვიღაცამ ბარათი შემოაგდო. კალისტრატემ უცბად სტაცა ხელი და უბეში სასწრაფოდ ჩაიდო, რომ არავის დაენახა. შემდეგ მიიხედ-მოიხედა და, რა დარწმუნდა არავინ უცქეროდა, ამოიღო უბიდან ბარათი და განცვიფრებით დაუწყო კითხვა:

„ამხანაგო კალისტრატე. მხნედ იყავი, ხვალ განთიადზე უნდა გაგიყვანონ დასახვრეტად. ამ დროს იქვე ვიქნებით ჩასაფრებული და როდესაც ბორკილახსნილს მიგიყვანენ სვეტზე გასაკრავად, მაშინ გავისროლით ასაფეთქებელ ყუმბარას, რომელიც ძლიერ ბოლს აუშვებს. ამ დროს გაიქცევი

ამხანაგური სალამით **ივანე**.“

წაიკითხა თუ არა ბარათი, კალისტრატე ძლიერ დაღონდა, რადგან მას ვერ მოეფიქრა, თუ როგორ შეიძლებოდა მისი დახსნა ამ განსაცდელისაგან. მან დაიწყო ჯავრობა, ტყუილ-უბრალოდ თვითონაც ჩავარდებიან ამ ჯალათების ხელში.

გაიარა რამ დენიმე ხანმა. მოისმა გვარდიელების ხმაურობა. გაიხედა კალისტრატემ და დაინახა რამდენიმე შეიარაღებული გვარდიელი. კალისტრატემ ბარათი ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ამ დროს გაიღო კარი, და შემოვიდა ციხის უფროსი.

კალისტრატეს თვალწინ წარმოუდგა ბოძზე გაკრული თავისი თავი, უკვე თოფებს ესვრიან და ცდილობს სახე არ დაუშავდეს, ხელებს იფარებს... ის ტახტზე დაემხო.

ციხის უფროსმა დაინახა თუ არა ტუსაღი ტახტზე დამხობილი, ეგონა სძინავსო.

— გააღვიძეთ და გაჩხრიკეთ! — უბრძანა ციხის უფროსმა გვარდიელებს. გვარდიელები მივარდნენ და წამოაგდეს ზეზე.

— ჯალათებო, დრო მოვიდა, რომ დასტკბეთ ჩემის წვალებით და სისხლით?. მზად ვარ, რაც გინდათ ის მიქენით!—და გულ-მკერდი მიუშვირა მათ.

— ნუ ცხარობ, ერთ დღეს კიდევ გექნება საშუალება, რომ ქვეყნიერებას უცქირო,—მიუგო გვარდიელმა დაცინვით ტუსაღს, მერე თავიდან ფეხებამდე კარგად გაჩხრიკეს.

რა დარსმუნდენ, ტუსაღს საეჭვო იარაღი არაფერი აქვსო, ყველანი გარეთ გავიდენ და კარი მაგრად გადაუკეტეს.

IV

გვერდით საკანში ორი ოსი იჯდა, რომლებსაც დახვრეტა ჰქონდათ გადაწყვეტილი; ესენი ბიძაშვილები იყვნენ.

გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ გვარდიელები შემოვიდენ ამათ გასაყვანად. გაიგეს თუ არა გვარდიელების ხმა, მიხვდენ ყველაფერს, იცოდენ, რომ მოახლოვებული იყო მათი უკანასკნელი წუთი, მაგრამ რა ექნათ ჩაკეტილებს, ხელ-ფეხ შებორკილებს. ერთ მათგანს მაშინვე გული გაუსკდა შიშით და იქვე უსულოდ გაიშხლართა მიწაზე. დაინახა თუ არა მეორემ თავისი მეგობარი წაქცეული, ეცა წამოსაყენებლად, მაგრამ რა დარწმუნდა მკვდარიო, გამხეცებული წამოიჭრა ზეზე და მიაძახა გვარდიელებს:

— გინდათ დასტკბეთ მშრომელის სისხლით და წვალებით, მაგრამ იცოდეთ, ჯალათებო, როგორც თქვენ გგონიათ, ისე არ ჩაგივარდებით ხელში. მიიხედ-მოიხედა, უნდოდა რამე ეშოვნა, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახა ისეთი, რომ დაეცვა თავისი თავი. უცებ დაინახა კუთხეში წყლიანი ბოთლი, გიჟივით ეცა მას, თვალის დახამხამებაში გასტეხა და ისე მძლავრად ჩაირტყა მუცელში, რომ მთელი შიგნეული გადმოცვინდა და ისიც თავის ბიძაშვილს დაეცა და ხრინწიანი ხმით წარმოსთქვა:

— ოჰ, დას...ტ...კ...ბით... ჯალ...ათე...ბო... .

ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდენ გვარდიელები. ისინი ელდა ნაცემივით შეჩერდენ კარებში ამ სურათის დანახვაზე და შეეშინდათ შიგ შესვლა.

ციხის უფროსმა გაიგო თუ არა ეს, მაშინვე გაექანა საკანისკენ. მან რა დაინახა ისინი გაშეშებული კარებში, გაბრაზებულმა უყვირა:

— რას დაგიღიათ პირი! საჩქაროდ გამოიყვანეთ მაგ არამზადები!..

ერთმა გაბედა და შეუბრუნა ციხის უფროსს სიტყვა:

— ბატონო ციხის უფროსო, როგორ გამოვიყვანოთ, რომ მუცელგაფატრული ყრიან.

ის გიჟივით მივარდა და რომ დაინახა თვითმკვლელობა მოუხდენიათ, ძალიან გაოცდა. მას ეშინოდა, რომ პასუხს მოსთხოვდენ, თორემ იმათთვის თავს არ შეიწუხებდა.

— გამოათრიეთ საჩქაროდ, გაიყვანეთ და დახვრიტეთ! ისე დაგლიჯეთ ტყვიით, რომ ეს ჭრილობა არ დააჩნდეს, თორემ, ხომ იცით, შავს დღეს დაგაყენებთ! — გაცოფებული ყვიროდა ციხის უფროსი.

— მესმის, ბატონო!

მიცვინდენ გვარდიელები, მკვდარი ტუსაღები გაათრიეს და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს.

იმ ღამეს კალისტრატეს თვალს ძილი არ მიკარებია, ის შორს წაეყვანა ფიქრებს, თვალები გაშეშებოდა და მისჩერებოდა პატარა ჭუჭრუტანას, საიდანაც განთიადის სინათლე მოხვდა თვალებში. მან

უცებ მოისვა ხელი თვალებზე და უნდოდა გამორკვეულიყო, თუ რა მოხდა მის გარშემო.

— ნუთუ ყოველივე ეს მართალია და არა სიზმარი? ნუთუ შეიძლება, რომ ადამიანმა აწამოს ადამიანი ასე შეუბრალებლად?! როდის მოელება ბოლო ყოველივე ამას?

იმ დღეს მთელი დღე თავის ცოლ-შვილზე ფიქრობდა კალისტატე, მარიამი კი ამ დროს თავის უფროსი ვაჟით ციხის კარებთან იყო აყუდებული და ვის არ სთხოვდა, რომ ენახვებიათ მისთვის ქმარი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო.

— კაცის სისხლის მსმელებო, ნუთუ ისიც გენანებათ, რომ უკანასკნელად მაინც დავინახოთ ჩვენი მარჩენალი! — ტირილით მოსთქვამდა მარიამი.

უკვე საღამომ მოაწია, და მარიამი მაინც ციხის კარებს არ შორდებოდა და შეიძლება დილამდეც იქ ყოფილიყო, რომ ივანე არ მოსულიყო და არ წაეყვანა ის. მარიამი კი გაკიოდა:

— რა მინდა შინ, ვისთან წავიდე, ჩემი კალისტრატე აქ დავტოვო ჯალათების ხელში და მე დამშვიდებული წავიდე შინ?! გამიშვი, გამიშვი!

— დამშვიდდი, მარიამ, დამშვიდდი, გულს ნუ გაიტეხ და ამ პატარას ნუ აჯავრიანებ. თუ კაცი ვარ, მალე გაჩვენებ შენს კალისტრატეს.

ივანეს მეტი დარჩენა არ შეეძლო, ვინაიდან მას აგვიანდებოდა და საჩქაროდ გამოვიდა გარეთ.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ციხეში შემოვიდა ოცდაათამდე მთვრალი გვარდიელი, რომლებსაც კალისტრატე უნდა დაეხვრიტათ. მათ ჯილდოც ჰქონდათ მიღებული, და ამიტომ იჩქაროდენ მალე განთავისუფლებულიყვენ, რომ განეგრძოთ ქეიფი. ბევრი დროც არ გასულა, რომ კალისტრატე გამოიყვანეს. ის თამამად მიდიოდა და არ ჩიოდა თავის ბედზე. კალისტრატემ როდესაც გვარდიელებს გადახედა და შეამჩნია, რომ ყველა მთვრალი იყო, ვერ მოითმინა და დაცინვის კილოთი უთხრა:

— გიტყობათ, კარგათ უციათ პატივი თქვენთვის და მასთან გასამრჯელოსაც მოგცემენ, ალბათ! აბა დაუფიქრდით, რას წარმოადგენთ თქვენ ეხლა?

— ესენი შენს თავს ნაკუწ-ნაკუწად დაფლეთენ, ვინაიდან სამშობლოს გამცემს ასე ეკუთვნის, — მიუგო გვარდიელების უფროსმა და უბრძანა გვარდიელებს:

— გაიყვათ საჩქაროდ ეს სამშობლოს გამყიდველი!..

მას საჩქაროდ გაუკრეს თოკით ხელები და მიიყვანეს იმ სვეტთან გასაკრავად, სადაც უნდა დაეხვრიტათ. კალისტრატე მაგრად მიაკრეს სვეტზე და უფროსის ბრძანებაც მოესმათ გვარდიელებს: გასწორდით! თოფები მოამზ.....

ამის დაბოლოება ვერ მოასწრო, რომ უცებ საშინელი ყუმბარის ისეთი ხმა მოესმათ, რომ შიშით თოფები დაყარეს და პირქვე დაემხენ. შიშით კინაღამ გული დაუსკდათ. ამ დროს სასწრაფოდ გადმოხტდენ ივანე და ნესტორი თავისი ამხანაგებით პატარა ფერდობიდან და უვნებლად წაიყვანეს თავისი მეგობარი.

შალვა ესებუა

9 იანვარი

(სისხლიანი კვირა)

დაღავს ეხლაც გულს ამ დღის ხსენება,
თრთოლვით მკერდშივე აღარ ჩერდება,
ცხრაას ხუთი წლის მტერი უნდობი
მშრომელთა ზურგზე დათარეშობდა!..

შურისძიებით ვეღარ ძღებოდენ,
დახარბებულნი ხოცავდენ მუშებს
და აღტაცებით გულში მღეროდენ,
როცა გვამებით ავსებდენ ქუჩებს!..

ურიცხვ ჟლეტას და გადასახლებას
გადაუვლია მათ უდრეკ ტანზე,
მაგრამ დახევის გადაძახება
არ დამჩნევიათ არცერთხელ ხმაზე!..

იანვარი, ცხრა, სისხლიანი დღე
და გაფიცვების თარიღი დიდი,
ამ დღეს მოღუშვით ანათებდა მზე,
ცას მწუხარების ეკვროდა ბინდი!..

აჯანყებულებს მღვდელი გაპონი
ხატით და ჯვარით მიუძღვებოდა,
ვინ იფიქრებდა, მცველად ნაპოვნი
იმათ გაცემას მოუნდომებდა!..

სასახლის კარებს მიუახლოვდენ
გადარკინული ურღვევ რიგებით
და სახეებით ასე ამბობდენ:
— ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით!

უმძიმდათ სუნთქვა პასუხის ცდაში
და სვამდენ გულით მხრჩოლავ იარებს,
მაგრამ იმედის დაპირებაში
თავზე ტყვიებმა გადაუარეს!..

ირწყოდა არე სისხლის ღვარებით,
შიგ იხრჩობოდა მუშების გროვა
მაინც იძახდენ: „არ დაგნებდებით,
სხვა მომავალი ჩვენსკენ გადმოვა!“.

გადაიარეს მრავალმა წლებმა,
ცა გააწითლა მძლე ოქტომბერმა,
და გაიხარეს საფლავში ძვლებმა,
როდესაც ძალა დაკარგეს მტრებმა!

ლუტუ იაშვილი.



ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდენ ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი.

1919 წლის 15 იანვარს ბერლინის ქუჩაზე გერმანიის მენშევიკებმა მხეცურად მოჰკლეს გერმანიის პროლეტარიატის ბელადები — **კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.**

ჩვენც უნდა ვცხოვრობდეთ, ვსწავლობდეთ და ვმუშაობდეთ ისე, როგორც ისინი.

ჩვენ მოგვყავს ნაწყვეტები კარლ ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის წერილებიდან, საიდანაც გარკვეულად ჩანს, რომ **დიდი რევოლუციონერი — ლენინელ — ყოველთვის და ყველგან პროლეტარული რევოლუციისათვის იღვწის — მეცნიერის კაბინეტში, ბარიკადებზე, ციხეში თუ ოჯახში.**

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენც მივბაძოთ მათ!

ლიუქსემბურგის წერილი ციხიდან კარლ ლიბკნეხტის ცოლისადმი

1917 წ. 2 მაისი

მე რას ვკითხულობ? უმთავრესად ბუნებისმეტყველებიდან. გუშინ წავიკითხე აგრეთვე მკალობელი ფრინველების გერმანიაში მოსპობის მიზეზების შესახებ. ამის მიზეზია მაზრის ეროვნული მეტყეობა, მებაღეობა და მიწათმოქმედება, რომელნიც ნელ-ნელა სპობენ ფრინველების საზრდოობისა და ბუდობისათვის საჭირო ყველა ბუნებრივ პირობას.

თქვენ იცით, რომ მე მაინც ვიმედოვნებ — მოვკვდე სადარაჯოზე: ქუჩის ბრძოლაში, ან საკატორღო ციხეში.

თქვენი **როზა.**

კ. ლიბკნეხტის წერილები შვილისადმი

„ძვირფასო ბობ!

შენმა წერილმა ძალზე გამახარა; მხოლოდ პაპიროსის წევის და ბანაობის შესახებ ძალზე დამაფიქრა. პაპიროსი თქვენთვის, პატარებისათვის, მავნებელია, წყალთან კი ხუმრობა არ შეიძლება. მოიგონე ვანის ტბა და აგრეთვე ზღვის სხვა მსხვერპლნი... თვენ იქ ბევრი დინჯი, გამგონე და მხიარული... ამინდი აქ ცივია და წვიმიანი. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ჯანმრთელად ხართ. როდის ჩამოვალ, — ჩამოვალ თუ არა, ესეც საკითხია, — გამოურკვეველია... გკოცნი შევრს.

მამა.

„ძვირფასო ბობ და ჩემო ბავშებო, ჰელმიხენ და ვერიკო. კიდევ გიმეორებთ: იყავით გამგონე, ბეჯითნი და გაბედულად გაკაფეთ თქვენი ცხოვრების გზა, არ გადაუხვიოთ გზას. ყოველთვის წინ სწორი გზით, როგორიც გინდა იყოს ის — მსუბუქი თუ მძიმე.

იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ სასინელ დროს განვიცდით. საჭიროა საკუთარი თავი ხელში გვექიროს. მე არ შემიძლია თქვენზე ვიფიქრო. ძალზე მინდა უზრუნველვყო თქვენი ცხოვრება: გაგხადოთ თქვენ ძლიერნი, თქვენი ცხოვრება მოხდენილი გავხადო.

ეხლა ძალიან ხელახლად მაშორებს ოჯახს. თავის მიმართ ადამიანი მკაცრი უნდა იყოს, მომთხოვნი, თორემ ის წუმპეში გადაეშვება. მუშაობა და მუშაობა! მხოლოდ ის აქცევს ადამიანს თავისუფლად და კმაყოფილებას აგრძნობინებს. მაგრამ მუშაობა საფუძვლიანი უნდა, არ უნდა იფორთხიალო ცხოვრების ზედაპირზე, უნდა იყო მაგალითის მიმცემი. ბეჯითი სკოლაში და მუდამ იღებდე მაგალითს იმ ადამიანებისაგან, რომელნიც ყველაზე უფრო მუშაობდენ კაცობრიობის სასარგებლოდ.

თვითკმაყოფილება და თავის თავზე დიდი წარმოდგენა — უბედურებაა: ისინი გვაქცევენ ჩვენ სულელებად. არ დაივიწყოთ ეს... ვისაც უნდა სჯეროდეს თავისი თავის, უნდა მუშაობდეს შეძლებისდაგვარად, იყოს საქმიანი ადამიანი, მიისწრაფოდეს ყოველივე მაღლისა და კეთილისაკენ.

თქვენი მამა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



— გახსოვს შენ, ურემის კოფოზე რომ დაგსვეს,
ურემი ქალაქს რომ გაუდგა ჭრიჭინით,
გამოჩნდა ქალაქი, გადმოხტი ურმიდან,
გავარდი ქარივით,
მშვიდობა უთხარი სოფელს და მშობლებსაც
და უკან მოგდევდა მანქანა ბლავილით...

და ეხლა შენ დღეებს ქალაქში ალამებ,
ხომ გესმის ქარხნების გრიალი, გუგუნი,
ლამე-კი, შავგულა, შიშისგან კანკალებს,
ირღვევა სიბნელე შავი და უკუნი...

საბავშო სახლში ხარ, გივლიან შვილივით
და გიყვარს ძახილი: „დროშები ასწიეთ!"
სიმღერა ხომ იცი გმირულად გაშლილი,
როდესაც ქუჩებში მართავთ დემონსტრაციას...

შენ გახსოვს: ჩინეთში ძმები გყავს პატარა
და მტრების პირისპირ ისინიც იბრძვიან.
გადამწყვეტ ბრძოლის დრო! იმათთან მხარდამხარ
რიგებში ვდგავართ და გმირულად მივდივართ!..

აქ რიგში ჩამდგარხარ და დროშას ატარებ,
შორეულ მომავალს მზესავით მოელი:
გსურს მშობლებს მისწერო, რომ მათი პატარა
დღეს მებრძოლია და რევოლიუციონერი...

ალიოშა ადამია.

მასწავლებელი

დილით
რომ სკოლის ფართო ეზოში
ხტიან ბავშვები
და თამაშობენ
„ციხის ალებას",
მასწავლებელიც მათ შორის არის,
პატარეები
მის გულს ათბობენ,
მოხუცი თუა—ბავშობას ნატრობს,
ეტრფის სიცოცხლეს
და ნეტარებას...
და ამხანაგი
მასწავლებელი
ამხანაგებად სთვლის
მოწაფეებს;
ზოგს გაუწყრება და თან არიგებს,
ზოგსაც დაიჭერს
და ეფერება...
სულში ჩაიქსოვს
მათ სიყვარულის
ფაქიზს და ნორჩი
გრძნობების ძაფებს...

ზარი რომ დარეკს,
თამამს შესწყვეტენ,-
გაკვეთილებზე
მიეჩქარებათ...
გაკვეთილის დროს
მასწავლებელი
მოვალეობას უცქერს
თვალებში:
თეითეულისთვის
მზად არის უშრეტ,
მჭეფარე წყაროდ გადიქცეს
ცოდნის,
ზრდიდეს თაობას
მომავლისათვის
ჩვენი ეპოქის
ახალ სკოლებში.

სანდრო ეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა კულტ-ლაშქრობაში

პიონერთა კულტ-ლაშქრობის ტალღამ ყველა ქალაქსა და სოფელს გადაუარა. მრავალი პიონერ-კოლექტივი დამოუკიდებლად შეუდგა მუშაობას. ბევრმა კოლექტივმა გამოიჩინა საკუთარი ინიციატივა **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე.**

პიონერები აწარმოებდენ წერა-კითხვის უცოდინარ ბავშთა და დიდების აღრიცხვას, აწყობდენ ბავშებს სკოლებში, აგროვებდენ შემოწირულებას, რომ ამით ღარიბ ბავშთათვის შეეძინათ ფეხს ცმელი, ტანსაცმელი, ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და რვეულები.

ამ მუშაობაში განსაკუთრებით განირჩეოდენ ტფილისში ლენინის რაიონის პიონერები, სადაც ლაშქრობა უკვე დამთავრდა.

მეორე ფრონტი, სადაც პიონერები ფართოდ აწარმოებენ შეტევას, არის კამპანია ალკოგოლის წინააღმდეგ. პიონერები აწყობენ მასიურ დემონსტრაციებს, ავრცელებენ ლოზუნგებს, პლაკატებს ლოთი მამების წინააღმდეგ, გამოდიან მიტინგებზე, სადაც უქადაგებენ საკუთარ მამებს თავი დაანებონ ღვინის სმას. ასეთი მუშაობა კარგად ჩატარდა ტფილისში, ქუთაისში, ბათომში და სხ.

კარგად მიმდინარეობს კამპანია **ბავშთა ექსპლოატაციისა და გალახვის წინააღმდეგ,** უვარგისი რკინის შეგროვების შესახებ, ქუჩაში თამაშის წინააღმდეგ და სხვ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგი რამ მაინც გამორჩათ პიონერებს, მაგალითად, მუშაობა სანიტარიის დარგში, პიონერულ ჟურნალებზე ხელის მოწერის წარმოება ინტერნაციონალური ხაზით. ჯერჯერობით კიდევ გრძელდება კულტ-ლაშქრობა, სოფლის კოლექტივებში კი კულტ-ლაშქრობა 25 იანვარამდე გაგრძელდება. კოლექტივები კარგად უნდა დაუფიქრდენ, თუ რა მისცა მათ კულტ-ლაშქრობამ, რა შედეგები მოჰყვა მას, როგორ უნდა აწარმოონ ასეთი ლაშქრობა სოფლად. კულტ-ლაშქრობის ჩატარების დროს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ გამოცდილება და განვამტკიცოთ მიღწევები ამ სფეროში. კულტ-ლაშქრობა მარტო კამპანია კი არ არის, არამედ ყოველდღიური ცოცხალი კულტურული საქმიანობა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს არა მარტო ლაშქრობის დროს, არამედ ყოველდღიურ მუშაობაშიც.

სოფლისა და ქალაქის პიონერ-კოლექტივებმა, იქ, სადაც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კულტ-ლაშქრობა, გარდა ისეთი ლოზუნგებისა, როგორიც არის ლოზუნგი „ვიბრძოლოთ კულტურისათვის“, „მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა“ და „ჩვენ გვინდა ჯანსაღი ყოფა-ცხოვრება“, უნდა წამოაყე-

ნონ აგრეთვე ლოზუნგი: „ჩვენ გვინდა წმინდა და კარგად დაკერებული ტანსაცმელი“, ვინაიდან პიონერების ტანისამოსი ხშირად არის დახეული და დასვრილი. ამიტომ კოლექტივებმა უნდა შეიძინონ ნემსი და ძაფი, რომ პიონერს თვითონ შეეძლოს საკუთარი ტანსაცმელის დაკერვა.

პიონერებმა უნდა მოაწყონ აგრეთვე წრეები— მუსიკალური, მსროლელთა, სანიტარული, ჭრა-კერვის და სხვ. მათ უნდა ჩააბან ასეთ წრეებში არაპიონერი ბავშვები, რომელთაც აინტერესებთ ესა თუ ის საქმე.

აწარმოეთ მუშაობა კბილის წმენდისათვის, იბრძოლეთ ჭიანი კბილების წინააღმდეგ! ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება კულტ-ლაშქრობის დროს.

ყოველმა პიონერმა უნდა იფიქროს, თუ რა გააკეთეს და რის გაკეთება შეიძლება კიდევ. წერა-კითხვის უცოდინარი აიყვანეთ აღრიცხვაზე? სწავლობენ ისინი ახლა თუ არა, ან როგორ სწავლობენ? გაუწიეთ კონტროლი საკუთარი კოლექტივების მუშაობას, დაუკვირდით ყოველი პიონერის საქმიანობას. ბავშვებო! პიონერებო! ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უდავოა, ჩვენი ნაკლია, რომ პიონერ-კოლექტივები თავისი მუშაობის შესახებ არაფერს წერენ ჟურნალში. იყავით დარაზმულნი და მტკიცე, ნუ ფარავთ საკუთარ გამოცდილებას. მიაწოდეთ ცნობები თქვენი მიღწევების შესახებ კომკავშირულ გაზეთებს და პიონერულ ჟურნალებს. ჟურნალი **„პიონერი“** უცდის თქვენ მუშაობას და წინადადებებს, თუ როგორ უნდა განვამტკიცოთ კულტ-ლაშქრობის მიღწევები. **რედაქცია იწვევს კულტ-ლაშქრობის გამოცდილებათა გასაშუქებლად ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, გორის, ახალციხის და კახეთის პიონერებს.**

მ. ა—ვა

ტფილისის პიონერთა გრძოლა კულტურისათვის.

როგორ უპასუხეს ტფილისის პიონერებმა კულტურული ლაშქრობის ამოცანებს? დაკმაყოფილდენ ისინი მარტო დადგენილებებით და ბრძანებით, თუ ყურადღებით მოეპყრენ ასეთ დიდ კულტურულ საქმეს? დაიჭირეს მათ კულტურული გამოცდა?..

ამ საკითხებზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი; საკმარისია ტფილისის პიონერ-კოლექტივების დათვალიერება, და დავრწმუნდებით, რომ პიონერებმა ამ შემოხვევაში მთელი თავისი გამბედაობა და ენერგია გამოიჩინეს, მზად აღმოჩნდენ.

ჩვენ გვაქვს შესაფერისი მასალები. ჩვენ ვიყავით ყველა რაიონულ ბიუროში, ვესაუბრეთ პიონერებს და დავრწმუნდით, რომ კულტურული ლაშქრობის პირველ პერიოდში, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, პიონერ-კოლექტივებმა ბევრი რამ გააკეთეს.

რაიონებში მოწვეულ იქნა პიონერთა მშობლების კრებები, სადაც ყურადღებით განიხილეს კულტ-ლაშქრობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ კრებაზე მშობლები აღტაცებით ლაპარაკობდენ თავის ბავშვებზე:

— ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენი ბავშვები პიონერ-კოლექტივებში არიან! ჩვენ საუკეთესო მაგალითს ვხედავთ ბავშვების საქციელში, როცა ისინი უკმაყოფილებით აღნიშნავენ ჩვენს არაკულტურულ მოქმედებას. ჩვენ ყოველგვარად დავეხმარებით მათ კულტურულ ლაშქრობაში!..

ამ კრებაზე სრული თანხმობა დამყარდა უფროსებსა და ბავშვებს შორის. კრების ყოველი წევრისათვის ნათელი გახდა, რომ პიონერთა კულტურული ლაშქრობა გამარჯვებით დამთავრდება.

ლაშქრობა დაიწყო. დინჯი ნაბიჯით მიდიოდენ წინ კულტურული არმიის პატარა მებრძოლნი. რევოლუცია მოითხოვდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას, ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის წრეების მოწყობას, დაურაზმავი ბავშვების კოლექტივებში ჩაბმას და სხვა ამოცანათა განხორციელებას. დაიწყო სერიოზული მუშაობა. აი, მაგალითები:

მე-23 კოლექტივმა საკუთარი ძალებით მოაწყო ორი წრე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ამავე კოლექტივმა მოაწყო ცხელი საუზმე ღარიბ ბავშთათვის, მიიღო სასკოლო კოოპერაციისთვის რვეულები, სახელმძღვანელოები, რომლებიც დაურიგდა ღარიბ მოწაფეებს.

დიდი მუშაობა ჩაატარა **მე-40 კოლექტივმა**. ბავშებმა მოაწყეს საუბარი მშობლებთან ლოთობისა და თამბაქოს წევის მავნებლობის შესახებ და კიდეც მიაღწიეს იმას, რომ მშობლებმა უარი სთქვეს ღვინის სმაზე და პაპიროსის მოწევაზე. პიონერებმა საკუთარი ძალებით მოაწყეს სამკითხველო, წრეები ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის, ზუსტად გაანაწილეს მეცადინეობის, კოლექტივში მუშაობის და ძილის დრო და სხვ.

მე-16 და მე-17 კოლექტივებმა მოაწყეს ორი წრე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ქართულ და რუსულ ენებზე. წარმოებაში გამოაკრეს პლაკატები კულტურული ლაშქრობის ამოცანებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, მოაწყეს სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა მოსამზადებელი წრე.

მე-41 კოლექტივმა ჩაბა მასწავლებლნი და განვითარებული მოწაფეები წრეებში ჩამორჩენილ მოსწავლეთა მოსამზადებლად.

ამ წრეებში 20 მოსწავლე ემზადება მათემატიკაში, 21 — რუსულში, 34—ქართულში და საზოგადოებათმეცნიერებაში. გარდა ამისა, ამავე კოლექტივმა ჩაატარა ხელი! მოწერა პიონერულ გამოცემებზე.

მე-27 კოლექტივმა მოაწყო ბიბლიოთეკა, მოათავსა სკოლაში ორი მოსწავლე. ერთ მოსწავლეს თვით პიონერები ასწავლიან. **მე-15 კოლექტივმა** გადასცა მე-6 სკოლას წერა-კითხვის ოთხი უცოდინარი.

მე-14 კოლექტივმა მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრე, ჩაატარა საუბარი ლოთობისა და თამბაქოს მავნებლობის შესახებ.

ასეთივე კულტლაშქრობა მოაწყო სხვა მრავალმა პიონერ-კოლექტივმა.

ე. შმერლინგი.

„ჩვენი ცოცხალი სიტყვა"

პიონერთა კულტ-ლაშქრობა ზუგდიდში.

ზუგდიდში ნ. პ. სამ-ბიუროს ხელმძღვანელობით 14 იანვარს მოწვეულ იქნა ქალაქის პიონერ-კოლექტივების ხელმძღვანელების თათბიური, სადაც დამუშავდა საკითხი კულტ-ლაშქრობის მოწყობის შესახებ. ლაშქრობის მიზანი იყო ბრძოლა ლოთობასთან, პაპიროსის მოწევასთან და სხვა მავნე ჩვეულებებთან. თათბირმა დადგინა სადემონსტრაციოდ გამოსვლა პიონერებისა მოწყობილიყო 20 იანვარს, კვირას, ხოლო მანამდე მოსამზადებელი მუშაობა წარმოებდა.

კოლექტივები ემზადებიან ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, პიონერებს უხარიათ და აღფრთოვანებით ხვდებიან სადემონსტრაციო დღეს.

გათენდა 20 იანვარი... პიონერები შეგროვდენ სამ დანიშნულ ადგილას, საიდანაც უნდა გამოსულიყვნენ სადემონსტრაციოდ. ყველგან მოფენილია კედლის გაზეთები, რომელზეც არის სხვადასხვანაირი ლოზუნგები: „ლოთობა ანადგურებს ადამიანის ორგანიზმს, მოვშორდეთ მას", „სამეკიტნოების მაგივრად კულტურული დაწესებულებებისაკენ", „უსუფთაობა ჯანმრთელობის მტერია" და სხვა.

დილის 10 საათიდან პიონერები დარაზმული გამოვიდენ ქუჩებში და გაიძახოდენ: „ჩვენ არ გვინდა ლოთი მამა, ძირს ლოთობა" და სხვა შემდეგ პიონერები მიადგენ რესტორან-სამეკიტნოებს და მიაძახეს შემდეგი სიტყვები: „დახურეთ სამეკიტნოები, ეს ლოთობის დაწესებულებაა, ჩვენ, ლოთობას ვებრძვით, აქ ჩვენი მამები თვრებიან. თუ მოსამსახურეა, ჯამაგირი შინ არ მიაქვს. სამეკიტნოში ლოთობს, თუ გლეხია — ოჯახურ ნაწარმოებს, რომელიც ბაზარზე მიაქვს ოჯახის საჭიროებისათვის, აქ ფლანგავს და ამით ოჯახში უკმაყოფილებას იწვევს. მიატოვეთ ასეთ ლოთობის ბუდეში მუშაობა, გასწიეთ კულტურული დაწესებულებებისაკენ" და სხვა.

ამის შემდეგ პიონერები მიადგენ საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებებს და მათ მოსთხოვეს მეტი კულტურული დაწესებულებების გახსნა ლოთობის საწინააღმდეგოდ

ლაშქრობას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა შტაბი, რომელშიც შედიოდა: ნ. პ სამ-ბიუროს თავ-რე თამარ ქუჩულორია, ფიზ-აღზრდის ინსტრუქტორი კ. ადამია, კ. კ. აგიტ-პროპ-ორგანიზატორი კ. შენგელია და სხვა. ლაშქრობის შემდეგ მოეწყო პიონერების საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა სამაზრკომის აგიტპროპ-ორგანიზატორმა ამხ. კ. შენგელიამ და მოუწოდა პიონერებს შემდეგისათვის აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საერთო კულტ-ლაშქრობაში

აგრეთვე ამავე სხდომაზე პიონერებს შეფიცეს აგიტ-პროპორგანიზატორმა ამხ. კ. შენგელიამ, ფიზაღზრდის ინსტრუქტორმა ამხ. კ. ადამიამ, სამაზრკომის ინსტრუქტორმა ამხ. ფ. ჯიქიამ და კომკავშირელებმა შ. ზარანდიამ, აკ. ქირიამ, სპ. მესხიამ, მიშა მესხიამ. დ. შანავამ, მ. დამენიამ, კ. იაკულიამ, ე. კემულარიამ, მ. დარასელიამ, რომ ისინი სტოვებენ პაპიროსის მოწევას და სასტიკ ბრძოლას უცხადებენ მას, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნებელს

პიონერთა კულტ-ლაშქრობა ზუგდიდში სამ-ბიუროს სწორი და საქმიანი ხელმძღვანელობით ჩატარდა.

ალ. ზირაბუშვილი.

ჩვენი კოლექტივის მუშაობა

(სურამი, გორის მაზრა)

აგერ 5 წელი სრულდება, რაც სურამში დაარსდა პიონერთა ორგანიზაცია. კოლექტივის მუშაობა პირველ ხანებში სუსტად მიმდინარეობდა, მაგრამ ა. ლ. კ. კ. სურამის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით კოლექტივის მუშაობა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

კოლექტივი ფ. მახარაძის სახელობისაა და მასში ირიცხება 90 ბავშვი (66 პიონერია და 24 ოქტომბრელი)

კოლექტივში გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „მებრძოლი პიონერი", ჩამოყალიბებულია რადიომოყვარულთა და დრამ-წრეები, მომღერალთა გუნდი, სამკითხველო, სამხედრო კუთხე და სხ. სექციებიდან: კულტურული სექცია, სამეურნეო და სანიტარული.

სკოლასთან არსებობს ფორპოსტი. მაცადინობა კოლექტივებში კვირაში ორჯერ წარმოებს.

ასეთია ჩვენი კოლექტივის მუშაობა.

პიონერი **კ. მანუკოვი.**

სადურგლო სახელოსნო

ამხ. **ს. გეგეჭკორის** სახელობის კოლექტივმა თავისი თანხით მოაწყო სადურგლო სახელოსნო. სახელოსნომ თავდაპირველად შეაკეთა კოლექტივის ბინა, დამტვრეულ სკამებს ფეხები გაუკეთა, მაგიდებს ფიცრები გამოუცვალა და სხ. გარდა ამისა, კოლექტივის სადურგლო ეხმარება მიწსახკომთან არსებულ უჯრედს კარადის, კარის, ფანჯრის გაკეთებაში.

კოლექტივმა დაამზადა ავტობუსის პატარა მოდელი. ეს ავტობუსი გასინჯულ იქნა პიონერთა კულტ-ლაშქრობაზე, სადაც მან ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდა. რამდენიმე ათეული ნაბიჯი გაიარა საკის საშუალებით უბიძგოთ. ეხლა მას ალამაზებენ და ექსპონატად უნდა გაგზავნონ საბჭოთა კავშირის პიონერთა ნამუშევრების გამოფენაზე.

ბავშკორი **ლომია.**

„რობინ გუდი"

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ახლად ჩამოყალიბებულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მეორე პიესას **„რობინ გუდს"**. პიესის სიუჟეტი რთულია და ამავე დროს ძლიერ საინტერესო. ამბავი აღებულია უცხოეთის ცხოვრებიდან, თუმცა შინაარსით „არსენას" ჰგავს.

მთავარი მიზანი მიღწეულია, გაგებულია ბავშის ფსიქოლოგია, ისე რომ ზოგიერთი გმირის მოქმედება მაყურებლებზე სათანადო გავლენას ახდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ

ქ. ფოთში უპატრონო ბავშთა საცხოვრებელი ბინა მოეწყო კომპარტიისა და კომკავშირის ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

ფოთის ქუჩებში დაახლოვებით 120 მოხეტიალე ბავში იყო. აქედან 30 ბავშამდე მოთავსებულ იქნა ხსენებულ ბინაში. ისინი დაკმაყოფილებული არიან ყოველმხრივ: ეძლევათ ტანსაცმელი და საჭმელი, დადიან სკოლებში და სკოლის საქმიანობაში სხვა მოწაფეებთან ერთად იღებენ მონაწილეობას. ამ ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ისე მოწაფეობაში.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲒᲗ.

უკვე მეოთხე წელია, რაც ბაღდადის თემის 7-წლედში კოლექტივი არსებობს, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. მარრ ჯიქიძე. კოლექტივს ყოველთვიური კედლის გაზეთი და ბიბლიოთეკა აქვს, რომლიდანაც პიონერები საკმაო ცოდნას იძენენ. კოლექტივმა ორჯერ ჩაატარა უფასო წარმოდგენა, რითაც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. პიონერ-კოლექტივს მჭიდრო კავშირი აქვს ქოხ-სამკალისველოსთან. ამ წლებთან ჩატარებულ იქნა კულტურული ლაშქრობა.

პიონერი **ქეთო კელენჯერიძე**

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲒᲘᲐ.

ს. ᲨᲣᲥᲣᲗᲐᲨᲘ არსებობს კოლექტივი, რომელიც უყურადღებოდ არის მიტოვებული. ნ/Თ ორგანიზაცია აერთიანებს 300 პიონერს. სუსტი ხელმძღვანელობის გამო არ წარმოებს არავითარი კულტ-განმანათლებელი მუშაობა: ვარჯიშობა, საუბრები, არ გამოდის გაზეთი და სხვ. უყურადღებობით კოლექტივი დაშლის გზაზეა. დაგვეხმარეთ!..

ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ოზურგეთის „ᲔᲠᲝᲡ“ კომკავშირთან არსებული ამხ. **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სახელობის ნ. პ. კ. ჰყავს რედ-კოლეგია. ის პირველ ხანებში მიძინებული იყო, რაც აიხსნება იმით, რომ რედკოლეგიას არ ჰყავდა მიმაგრებული რედაქტორი. მას შემდეგ, რაც რედაქტორად აირჩიეს ნათელა ჰყონია, მუშაობა გამოცოცხლდა. გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი **„ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ“**, რომელშიც უმთავრესად პიონერები წერენ თავის ყოფა-ცხოვრებაზე, კოლექტივის ნაკლისა და მიღწევების, რგოლების მუშაობის და სხვა საკითხების შესახებ.

ბავშკორი **ᲖᲘᲜᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

(ქ. ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ)

ქ. ბორჯომის საბავშო სახლან არსებული ნ. პ. კოლექტივი სამაგალითო კოლექტივია მთელ ბორჯომის რაიონში. კოლექტივის და რგოლების მაცალინობა სისტემატიურად წარმოებს, სადაც ირჩევა მეტად საინტერესო საკითხები. გამოდის კედლის გაზეთი, რომელიც აშუქებს პიონერთა ყოფა-ცხოვრებას. კოლექტივთან ჩამოყალიბებულია ჭრა-კერვის, დრამატიული და სხვა წრეები, სადაც მუშაობა სათანადოდ წარმოებს.

კოლექტივი აწყობს საღამოებსა და წარმოდგენებს, რომლებსაც აუარებელი ხალხი ესწრება.

ᲞᲐᲥᲣᲠᲘ ᲑᲚᲘᲫᲔ

ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲡᲬᲝᲠᲝᲗ ᲜᲐᲙᲚᲘ

დღეს დიდი ყურადღება ექცევა პიონერთა შორის ყოფა-ცხოვრების საკითხებს. ჯერ კიდევ ამხ. **ᲑᲣᲮᲐᲠᲘᲜᲘ** იმბობდა: **ჩვენი კომკავშირელები და პიონერები კარგი უმაწვილები არიან, მხოლოდ მათ არ უნდა დაავიწყდეთ ყოფა-ცხოვრებითი საკითხებისადმი სწორი კომუნისტური მიდგომაო.** ჩვენ სრულიად არ ვართ მოწინააღმდეგ, რომ პიონერმა ძირს დააგორებოს, პირი არ დაიბანოს და საერთოდ სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ დაიცვას, პირიქით, პიონერი ყველასათვის სამაგალითო უნდა იყოს; პიონერმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ალკოგოლის, თუთუნის წევის, ლანძღვა-გინების და სხვა მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოსკოვში პიონერებმა მოაწყეს მასიური კულტ-ლაშქრობა, რომელიც დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა. თვით ამხ. ამხ. **ᲑᲣᲮᲐᲠᲘᲜᲘᲡ** და **ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ** პირობაზე მოაწერინეს ხელი, რომ ისინი სამუდამოდ ხელს აიღებენ თამბაქოს მოწევაზე. მათ გადმოისროლეს ასეთი ლოზუნგი: **„მამავ, თავი დაანებე თამბაქოს ხევას და ღვინის სმას, ამ ფულით გამოგვიწერე ჟურნალები და წიგნები გვიყიდე“.** არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ მოსკოველ ამხანაგებს.

ზოგიერთი პიონერი ძალიერ უდიერად ეპყრობა წიგნებს: ყდას აცლის, ხევს და სხვადასხვა წარწერით აჭრელებს. წიგნი ჩვენი საუკეთესო მეგობარია და მას ისე უნდა მოვეკეცეთ, როგორც საკუთარ თავს.

როგორ სწავლობენ ჩვენი პიონერები? მოსკოვში ამხ. **ნ. ᲙᲠᲣᲞᲡᲙᲐᲘᲐᲛ** „Пионерская правда“-ში ლიან ბარათი გამოაქვეყნა, სადაც პიონერებს ბრალს სდებდა იმაში, რომ ისინი ბეჯითად არ სწავლობენ, მათ კი ცოცხალი ფაქტებით დაამტკიცეს, რომ ეს ბრალდება უსაფუძვლო იყო. საუბედუროდ, ასე არის საქართველოში; აი ფაქტები: 8 მარტის, ამხ. გეგეჭკორის სახელობის მე-9 შრომის სკოლის, მე-3 შრომის სკოლის და მე-23 კოლექტივში არიან ისეთი პიონერები, რომლებიც რამდენიმე წელიწადია, რაც ერთსა და იმავე ჯგუფში სხედან

რა დონეზეა კედლის გაზეთები? **მე-9 შრომის სკოლის** პიონერთა კედლის გაზეთში „ნაპერწკალში“ დახატულია მუზარადიანი და ფარიანი კაცი ოქტომბრის სადარაჯოზე. რათ ავიწყდებათ პიონერებს, რომ რაინდები ფეოდალური საზოგადოების დროს იყვნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობას მუშები იღებენ. საჭიროა პოლიტ.-ანბანის ცოდნა.

ამხ. ს. გეგეჭკორის სახელობის კოლექტივის კედლის გაზეთში მოთავსებულია ასეთი ლექსი:

„გვიყვარს ჩვენ ეს. ეს. ეს. ერი
მტკიცეთ ურყევად ვმღერით
სულ სხვაა საქართველო
მისი ველები მდელო“

ან **„ᲕᲨᲠᲝᲛᲝᲑᲗ ᲬᲔᲚᲛᲝᲬᲧᲠᲘᲚᲔᲑᲘ**
ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ“ და სხვა.

ნუთუ დასაშვებია, რომ პიონერმა ასეთი სტროიკონები წეროს? ან მართლწერა რასა ჰგავს! რატომ უნდა განასხვაოს მან საქართველო სხვა ქვეყნებიდან, ეს მჟავე ნაციონალიზმია, რომელსაც ასე დაუზოგველად ვებრძვით. საჭიროა ასეთ პიონერებში ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება.

მეორე ლექსში მოხსენებულია „უბედური მუშები“. თურმე, ნუ იტყვით, საბჭოთა მუშა, რომელიც დღეში მხოლოდ 7 საათს მუშაობს და ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, „უბედურია“. ამხანაგებო, საჭიროა მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა და ცოდნა იმის, რის შესახებაც წერთ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲥᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაიგის გმირი — მეცნიერი კულიკი.

1908 წელს ყველა ქვეყნის გაზეთებში გამოქვეყნდა ტელეგრამები იმის შესახებ, რომ ციმბირის შორეულ ტაიგაში ჩამოვარდა უზარმაზარი მეტეორიტი, რომლის მსგავსი არასოდეს არ ჩამოვარდნილა დედამიწაზე.

ტელეგრამებში პირდაპირ ეწერა:

„გიგანტური მეტეორიტი.

ციმბირის ტაიგაში გაუვალ ტყეებს შორის ჩამოვარდა არაჩვეულებრივი სიდიდის მეტეორიტი.“

ჩვეულებრივ მეტეორიტი უნახავს ყველა ჩვენგანს, იგი ხშირად გაიელვებს ცაზე ღამით და ჩაქრება. სადღაც. აძაზე ამბობენ „ვარსკვლავი მოწყდაო“, მაგრამ ეს ვარსკვლავი კი არ არის, არამედ რომელიმე მოხეტიალე ქვა, რომელსაც მეტეორიტი ქვიან; ასეთი მეტეორიტები მრავლად დახეტიალობენ ცაში და დროგამოშვებით ვარდებიან ძირს, დედამიწაზე, ხშირად კი ისინი ცაშივე დნებიან ისე, რომ ვერ აღწევენ დედამიწამდე.

ციმბირიდან ამ მეტეორიტის შესახებ იტყობინებოდენ: „მეტეორიტი არაჩვეულებრივი სიდიდისაა. ის ჩამოვარდა დიდის ხმაურით. იქ, სადაც ის ჩამოვარდა, რამდენიმე ასეული ვერსის მანძილზე გადამწვარი და გადათხრილია ყველაფერი“.

ამ შემთხვევამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს მეცნიერებს შორისაც.

მაგრამ მეტეორიტის მოძებნა მაინც გაძნელდა.

ტაიგა გადაჭიმულია ათასეული ვერსის მანძილზე. ასეული ვერსის მანძილზე გაუვალი ტყეებითაა დაფარული ყველაფერი. ადამიანები აქ არ ცხოვრობენ. სად უნდა ეძიო ასეთ ადგილებში მეტეორიტი, ვის უნდა ჰკითხო გზა?

დიდხანს არ იცოდენ მეცნიერებმა, როგორ ეპოვათ ეს უზარმაზარი ქვა.

და, აი, მისი პოვნა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ 1928 წლის ზაფხულზე.

იგი იპოვა საბჭოთა მეცნიერმა **ლეონიდ კულიკმა,** მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგმა.

1921 წლიდან მეცნიერი კულიკი აგროვებდა ყველა ცნობას, რაც კი იბეჭდებოდა გაზეთებში ამ მეტეორიტის შესახებ. შემდეგ, ამ მასალების მიხედვით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეტეორიტი ჩამოვარდნილი უნდა ყოფილიყო ტუნგუსეთში.

1927 წელს კულიკი გაემგზავრა კიდეც ამ მიმართულებით მეტეორიტის საძებნად. აქ მრავალი ძებნა და ცნობების შეკრების შემდეგ **გამოარკვია,** რომ ის არ შემცდარა. მაგრამ დაბრუნდა უკან, რომ უფრო მომზადებული წასულიყო ხელახლად საძებრად.

1928 წლის გაზაფხულზე კულიკი ისევ გაემგზავრა მეორე ექსპედიციით. მასთან ერთად გაემგზავრა მისი თანაშემწე ვ. სიტინი, ერთი კინოოპერატორი და ოთხი მუშა.

12 აპრილს მგზავრები სადგური ტაიშეთიდან გაემგზავრენ ტაიგისაკენ. დიდი სიძნელით მიდიოდენ წინ და მოაღწიეს იმ ადგილას, სადაც ტაიგის მონადირეები ნადირის ტყავეულობას უცვლიან ვაჭრებს. ეს ერთგვარი შესახვედრი პუნქტია ამ ადგილებში. ასეთი პუნქტები მდინარის პირასაა, და მოძრაობაც წყლის საშვალებით ხდება. ექსპედიციამ გააკეთა სამი ნავი.

22 მაისს მგზავრები ნავებით დაეშვენ ქვევით, მივიდენ მეორე მდინარე ჩაბმამდე. ამ მდინარედან მდინარე ხუშმოზე გადავიდენ და გასწიეს პირდაპირ სულ ზევით.

6 ივნისს მიაღწიეს მკვდარ ტყემდე.

ეს ის ტყე იყო, რომელიც მეტეორიტის ჩამოვარდნის დროს განადგურდა. აქედან მგზავრები ქვეითად წავიდენ მეტეორიტამდე.

აღმოჩნდა, რომ მეტეორიტი, იმის გამო, რომ აქ ნიადაგი ჭაობიანია, ძალზე ღრმად ჩაფლულიყო მიწაში.

შეუდგენ გამოკვლევას, თხრიდენ მის გვერდებს, იღებდენ სურათებს, აწარმოებდენ ჩაწერას და სხვა. მაგრამ მათ მუშაობას ხელს უშლიდენ კოღოები. ბოლოს მუშაობა პირდაპირ შეუძლებელი გახდა. ამას დაემატა მეორე უბედურება: მოგზაურებს შემოაკლდათ სურსათი. ნადირი ამ ტყეში არ მოიპოვება, მდინარე ხუშმოც დაშრა სიცხის გამო, გაქრა თევზიც. ისინი ძლიერ ცუდად იკვებებოდენ.

ორი მუშა ავად გახდა ცინგით, მაგრამ 17 ივნისს მოვიდა წვიმა და ღელეში წყალი ადიდდა, ამის გამო, ავადმყოფები უკან დააბრუნეს. ცოტა ხნის შემდეგ ავად გახდენ სიტინი და დანარჩენი მხლებლებიც.

2 აგვისტოს მოაწყეს თათბირი. გადაწყვიტეს წასულიყვენ ყველანი. ტაიგაში მხოლოდ კულიკი დარჩა. ის თავს არ ანებებდა მეტეორიტის გამოკვლევას.

ლენინგრადში დაბრუნებული სიტინი შეუდგა ახალი ექსპედიციის მზადებას. დიდი ხანი არ არის, რაც გაემგზავრა ეს ექსპედიცია.

ტაიგაში კი მარტოდ-მარტო კულიკია დარჩენილი. იქ ეხლა უკვე სიცივეები, ყინვები და ქარიშხალია. საკითხია — შესძლებს თუ არა ექსპედიცია იქ ჩასვლას, ამ თავდადებული მეცნიერის პოვნას და **იქიდან გამოყვანას.**

ხანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვის პირას.

პსირცხასთან.

— კარგი, კიდევ გეტყვით და დანარჩენი შემდეგ... — დაეთანხმა დაუზარელი სანდრო, რა პიონერები არ მოეშვენ...

— შემდეგ ვიყავი პსირცხასთან, ანუ ახალ ათონზე, რომელიც ძველად „სულთა ქვეყანად“ ითვლებოდა, რადგანაც იქ იყო მონასტრები, რომლებიც ეხლა მუშათა დასასვენებელ სახლებადაა გადაკეთებული, სადაც ცხოვრობდენ ბერები. ესაა სოხუმის ახლოს, ზღვის პირად, ლამაზი და მუდამ ამწვანებული გორები ბაღით, მამულით, ზეთისხილის ხეებით, მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის და სხვა ნაყოფთა ხეებით, სუბტროპიკული მცენარეებით, ანკარა წყაროებით.

ბრძოლა წერაკითხვის უცოდინარობასთან

ამბობენ, თითქოს ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში რომაელთა იმპერატორმა ტროიანმა განიერკედლებიანი ციხე-სიმაგრეებით დაიმკვიდრა აქ თავისი ძლიერება... მასზე წინაც კი აქ დაეხეტებოდენ არგონავტები იასონის მეჯაიურობით, რომლებმაც პირველად იხილეს მშვენიერი კოლხეთი და გაძარცვესო. მას შემდეგ აქ ვინ არ დაეხეტებოდა, ვინ არ იყო, რომელი კოლონიზატორის ფეხით არ ითელებოდა აქაურობა, ვინ არ აქცევდა აქ სისხლს და არა სძარცავდა ლამაზ აფხაზეთის მხარეს: რომი, სპარსეთი, ბიზანტია და სხვანი, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა თავის ქვეყნისადმი სიყვარული მუდამ აღდგენდა მას და ეხლა ხომ, რა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აქ, პირდაპირ გასაკვირი სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ როგორც კულტურული განვითარება, ისე მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა...

იზრდება სკოლების რიცხვი, აგრონომიული სადგურები, საუკეთესო კოლმეურნეობანი; ახალი ათონის საუკეთესო მეურნეობებს ხომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ აფხაზეთში და საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც.

მნიშვნელოვანია არა მარტო შემოსავლიანობა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, არამედ უფრო ის, რომ კოლმეურნეობა ავრცელებს მცხოვრებლებში კულტურულ მეურნეობას — მებაღეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას და ძვირფას ხილეულს მთელ საბჭოთა კავშირში, როგორიცაა: ზეთისხილი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და სხვა...

მეურნეობა, წარმომადგენლის სიტყვებით, ჩაუბარებიათ წინანდელ მეპატრონეთაგან, ბერებისაგან, არასასურველ მდგომარეობაში, დაღუპვის გზაზე შემდგარი, და ახალ გამგეობას დიდი მუშაობა დასჭირებია ამ მეურნეობის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის.

გასაბჭოების შემდეგ ბევრი ბერი წასულა აქედან, მაგრამ თავისი ნებით დარჩენილა ზოგიერთი, რომელნიც, როგორც ერისკაცნი, ერთგულად უვლიან აქაურ მეურნეობებს...

აქ მეურნეობის იმდენი სხვადასხვა დარგია და

იმდენი ტექნიკური ნაგებობა, რომ ყველას ფათვალიერებას რამდენიმე დღე დასჭირდება.

აქაა ზეთისხილის საუკეთესო რაყა, მწვანე ფერდიზე გაშენებული, რომელსაც უჭირავს ერთ დესეტინა ადგილი; ის ყველაზე დიდად ითვლება მთელს ევროპაში. ოქტომბერ-ნოემბერში აქ კრეფენ რამდენიმე ათიათას კილო ზეთისხილს, რომელ ც თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება ბერძნულს.

ამ ცოტა ხნის წინათ გაშენებული სანერგე აძლევს კოლმეურნეობას და მცხოვრებლებს გასაშენებლად მანდარინის, ფორთოხლის, ლიდვის და სხვა ძვირფასი კულტურების ნერგებს.

სანერგეში მუშაობას ხელმძღვანელობს მცოდნე — სპეცი, ყოფილი ბერი, რომელიც თავისი ერთგული შრომით, ქცევით, მისწრაფებით სრულიადაც არა ჰგავს ყოფილ ბერს; მასაც შეუგნია, რომ ეხლა ახალი ხანა დაიწყო, ხანა არა მუქთახორობის, სხვის ზურგზე გაჯირითების, არამედ ხანა შრომის, ხანა სოციალისტური აღმშენებლობის...

ვენახებს უჭირავს აქ 30 დესეტინა, მთავარი ვენახია, № 1. საბჭოთა მეურნეობა აქ მათ ადიდებს, აუმჯობესებს კულტურულად.

ამ საბჭოთა მეურნეობას აქვს კარგად მოწყობილი მეღვინეობის სახელოსნო, რომელსაც განაგებს მეორე ყოფილი ბერი, რომელზეც ამბობენ, თვითონ ღვინოს არა სვამს, მაგრამ მისი დაყენება, მოვლა კარგად ესმისო. ამ სახელოსნოსთან არსებობს ღვინის დიდი სარდაფი, საიდანაც მომსვლელებს შეუძლიათ შეიძინონ როგორც სხვადასხვა ხარისხის ღვინო, აგრეთვე ნაკლები ღირსების „იზაბელა“, რომელსაც აქ „საექსკურსიოს“ ეძახიან.

აქაა აგრეთვე განვითარებული მესაქონლეობა: რქოსანი საქონელი ჰყავთ ასი სული. საუკეთესო ჯიშების მეწველი ძროხები, აგრეთვე ხარები და ბულები; აქაც მიზნად აქვთ აფხაზ მოსახლეობაში საუკეთესო მესაქონლეობის გავრცელება, როგორც დარიგებებით, ისე საქონლის მიცემით. აქაა აგრეთვე ერთი დიდი, ველური, შეეცარული ბუღა, სახელად „შვიც“, მსხვილი თოკით დაბმული, რადგანაც მას ორი კაცი დაეშავებინა...

ქვიდან ქვაზე ხტის და მოქუხს მდ. პსირცხა, რომელიც ამოძრავებს ელექტროსადგურს. მთელი აქაური საბჭოთა მეურნეობის და მისი მიდამოების განმანათებელს.

ის ამუშავებს აგრეთვე ამ უდიდესი საბჭოთა მეურნეობის ყველა მაცოცხლებულ ძალას — სახელოსნოებს: საზეინკლო-მექანიკურს, სადურგლოს, ყინულის მკეთებელს და სხვებს; ის აბრუნებს აგრეთვე დიდ წისქვილს.

პსირცხის მნიშვნელობა საბჭოთა მეურნეობისათვის ძალიან დიდია.

ს. ე

ზღვის საიდუმლოებანი.

დედამიწის ზურგზე ჩვენს თვალს ხიბლავს ცად ატყორცნილი მთები, შრიალა ლამაზი ტყე, თვალუწვდენელი ველები, საშინელი ხევები, მქუხარე მდინარენი და სილიანი უდაბნოები. რა სხვადასხვაობა, რა მრავალფეროვანებაა! გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ ზღვის ფსკერიც ისე მრავალფეროვანია, როგორც დედამიწის ზედაპირი, იქაც არის მთები, ტყეები, ყვავილოვანი მინდვრები.

ადამიანმა ამაყად შეასრიალა ჰაეროპლანი ცის სივრცეში, მან დაიპყრო ზღვის ზედაპირიც და ათასი მიმართულებით დააცურებს გემებს ზღვებსა და ოკეანეებზე, მაგრამ ამან ვერ დააკმაყოფილა იგი და მოისურვა ზღვის ფსკერის ნახვაც, წყალქვეშეთის ამბის გაგება... და გაიგო კიდეც, ესტუმრა ზღვის ფსკერს, გადაიღო იქ, წარმოუდგენელ სიღრმეზე, ფოტოგრაფიული სურათები...

ზღვის ფსკერზე მხოლოდ ერთი მცენარე იზრდება — ზღვის წყალმცენარე, მაგრამ ეს მცენარე იმდენად სხვადასხვაგვარი ფორმისა და ფერისაა, თითქოს ის ზღვის ფსკერზე კი არა, ტროპიკული მზის სხივების ქვეშ იზრდებოდეს. დედამიწის ზურგზე არსად არ მოიპოვება ისეთი თვალწარმტაცი ლანდშაფტი, როგორც ზღვის ფსკერზე...

შორეულ ჩრდილოეთითაც კი, სადაც ადამიანებს უჭირთ თავის გამოკვება, ვინაიდან მცენარეულობა ძალზე ცოტაა, ზღვაში ამდენი წყალმცენარეა, რომ მშვენიერ საძოვარს წარმოადგენს მორეებისა და ზღვის ძროხებისათვის. აქ არის სულ პაწაწა მცენარეებიც და ისეთნიც, რომლებთან შედარებით კალიფორნიის უზარმაზარი სოკის ხეები ერთი ბამბუკია გამოჩნდება. პოლარული ზღვის წყალმცენარის სიგრძე 1000 ფუტს უდრის (143 საჟენამდე), თუმც იქ წყალი ისე ცივია, რომ გაყინვის წერტილს უახლოვდება მისი ტემპერატურა.

ზღვაში არის მეორე გვარის წყალმცენარეც, რომელსაც შეიძლება ხეკის პალმა ეუწოდოთ. მისი სიმაღლე 70 ფუტს უდრის, ზევით ბრგვალია და აქეთ-იქით აქვს 30 ფუტის სიგრძე ფოთლებიანი ტოტები. ტალღები არხევს ამ უზარმაზარ მცენარეს, რომელიც რამდენიმე თვეში იზრდება, ყოველ წელს კვდება და კვლავ ამოდის თესლიდან.

როდესაც ქარიშხალი მძვინვარებს, ჩვენი ტყეები შრიალებს, ტოტები იმტვრევა, ქარი ხან ძირიან-ფესვიანად თხრის ხეებს, ფოთლები ჰაერში დაფრიალებს. სწორედ ასევე ხდება ზღვის ფსკერზეც, სადაც გაფთრებული ტალღები გლეჯენ წყალმცენარეებს, მიაქროლებენ საკენიან ფოთლებს. ამიტომაა, რომ ზღვის პირას ეხვდებით წყალმცენარეებს, რომლებიც 7 ვერსის სიგრძეზე გაწოლილან და რამდენიმე ფუტი განი აქვთ, რაც ფრიად ხელსაყრელია ადამიანისთვის: როდესაც ზღვაზე მარცხი შეემთხვევა ხომალდს, და ტალღებს ნაპირისკენ მიაქა-

ნებს მას, გადარჩენის იმედი ცოტაა, მაგრამ მას სწორედ ეს წყალმცენარენი შველიან.

ზღვის წყალქვეშა ტყეებში წყალმცენარენი ხან ერთმანეთში არიან გადახლართული, ხან ზევით არიან ასული; ხან ხეივნებს აკეთებენ, ხან გაუვალ ბურდებად არიან. ამ ტყეებში მუდმივი სიწყნარეა, თუმც იქ მილიონობით იკვებებიან ზღვის სხვადასხვა ცხოველნი.

ფსკერზე აუარებელი ზღვის ვარსკვლავაა, წყალმცენარეების ტოტებს მიჰკვრიან ნიჟარები და ზღვის ოკეანები, ფოთლებში დაცურავენ ცელქი ლამაზი თევზები. აქ საკვები ბევრია, ყველას ეყოფა, მაგრამ ძლიერნი მაინც ჩაგრავენ სუსტებს და როდესაც მორეი გამოჩნდება, სელაპი დროით უნდა მოშორდეს იქაურობას, ზღვის ძროხები კი ერთმანეთს ედავებიან, ჩხუბობენ, რომ საძოვრის საუკეთესო ადგილებს დაეპატრონონ.

აკულა, ეს ზღვის აფთარი, გაუმაძღარია და აქეთ-კენ მოილტვის. სელაპი გარბის გულგახეთქილი და ხშირ ტყეში აფარებს თავს, სხვა ცხოველებიც მიმოიფანტებიან, რომ გადაირჩინონ თავი. კუ შეძვრება თავის ციხე-სამაგრეში და ფსკერზე გარდება, თევზები იმალებიან ტოტებში, ასევე იქცევიან კიბოებიც, მაგრამ ყველა ვერ უშველის თავს, აკულა მშიერი არ დარჩება.

თუმც წყალმცენარენი ათასფრად არიან აჭრელებული, მათ ყვავილები არ აქვთ.

ზღვის ნამდვილ ყვავილნარებს წარმოადგენენ მარჯნების ნაგებობანი, რომლებიც მშვენივრად აღწერეს სამხრეთ ოკეანეში ნამყოფმა მოგზაურებმა. იქ ზღვის წყალი იმდენად წმინდა და ანკარაა, რომ მშვენივრად ჩანს ფსკერზე ათასფრად აჭრელებული მარჯნები. მაგრამ ამის დანახვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ზღვაზე ოდნავი ჰაერიც კი არ არის. ეს მარჯნები მცენარეები ჰგონია ადამიანს, ნამდვილად კი ცხოველებია — ტანი და ტოტები. ცხოველური ფორმის მცენარეულ ფორმად გარდაქმნა აქ იმდენად სრულია, რომ მარჯნები შემოდგომაზე კვდებიან და გაზაფხულზე კი ისევ ცოცხლდებიან.

ადამიანი გაოცებულია, როდესაც ხედავს, რომ ეს უცნაური მცენარეები ცოცხლდებიან და მოძრაობას იწყებენ ამ საოცარ ბაღებში, დედამიწის ზედაპირზე კი მცენარეებს მოძრაობა არ შეუძლიათ, ისინი ერთ ადგილას არიან მიჯაჭული. განა შეედრება დედამიწის ბაღების სიჭრელე-სილამაზე ზღვის ფსკერის ბაღების თვალწარმტაცობას! რა შედარება!!.. რით შეგვიძლია დავატკიცოთ, რომ ზღვის ყვავილები ცხოველები არიან? — როგორც კი შეარხევთ წყალს, ცხოველი, რომლის პირი ყვავილს ჰგავდა, შეიკუმშება და სულ სხვა სახეს მიიღებს, ხოლო როცა ყოველივე მიწყნარდება, ისევ გამოსწევს პირს, ისევ „ყვავილია“.

ფსკერის სუფთა ქვიშა მოფარულია ათიათასი ზღვის ვარსკვლავათი და ზღვის ზღარბით, რომლების ტანი ათასგვარად არის აჭრელებული. ნიჟარებში, სადაც ცხოვრობს კიბო — განდეგილი, ყოველთვის არის ზღვის ანემონი; როგორც ეტყობა, კიბო იკვებება ანემონზე მცხოვრები არსებებით და ამიტომ ისინი მეგობრულად, თანხმობით ცხოვრობენ ერთად.

თევზები საერთოდ არ არიან ბუნებისაგან მორთულ-მოკაზმულნი, მაგრამ ზღვის მარჯნის ბაღებში კი ისინი ათასგვარად არიან აჭრელებული, რომ თავი დაიფარონ მტრისაგან: ირგვლივ ყველაფერი მრავალფეროვანია და ასეთი არიან თევზებიც — ეს ბუნების კანონია, ეს მფარველი ფერია. არის აქ ცისარტყელას ფერებით მოელვარე პაწაწა თევზი „ზღვის კოლიბრი“, არის ლენტივით ბრტყელი და განიერი, ხუთფუტიანი თევზი, რომელიც ვერცხლის ლენტივით ელავს და ფრიალებს.

მარჯნებთან ცხოვრობენ ონავარი ჭრელი თევზები, უზარმაზარი გველთევზა, რომლის სიგრძე 2 მეტრია, და აგრეთვე ზღვის დიდი გველები.

აქვეა ბურთ-თევზა, რომელიც საშიშროების დროს შეისუნთქავს ჰაერს, გაიბერება, ბურთს დაემსგავსება და ატივტივდება; ეს „ბურთი“ დაფარულია მაგარი მსხვილი ნემსებით. როდესაც მტერი წავა, ბურთ-თევზა გამოუშვებს ჰაერს და ისევ თევზად იქცევა.

ლამაზად დაცურავს ამ ბაღებში ფრთოსანი თევზი, რომელსაც თავდაცვისათვის საშინელი ნემსები აქვს ზურგზე.

როდესაც მზე ჩაესვენება და ზღვასაც სიბნელე დაეუფლება, ზღვის წყალში ჩრდილი ჩაწვება, — მიკროსკოპიული მედუზები და კიბოები ისე დაიწყებენ ბრწყინვას სიბნელეში, როგორც მნათობი ჰიები. თუ ხელს ჩაჰყოფთ წყალში, ეს მბრწყინავი წერტილები გაიფანტ-გამოიფანტებიან, თითქოს ცაზე ვარსკვლავები დაფრთხენ და აქეთ-იქით გაიქცენო. ამ „ზღვის ვარსკვლავებს“ შორის დაცურავს ექვსფუტიანი მრგვალი თევზი, რომელიც ვერცხლისფრად ელავს — თევზი-მთვარე, ირგვლივ კი ათიათასობით კიაფობენ მედუზები და კიბოები — ვარსკვლავები.

ერთფეროვანია ზღვის ზედაპირი: წყალი, წყალი და წყალი, მაგრამ ზღვის ფსკერი კი თვალწარმტაცია, მისი მცენარენი და ცხოველები ოცნების სამეფოში მიგაფრენს, მისი ბაღები გხილბავს, მისი ტყეები გოაცებს...

ეხარი.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.

იტალია მდებარეობს ევროპის მატერიკზე, ნაწილობრივ აპენინის ნახევარკუნძულზე და აგრეთვე სიცილიისა და სარდინიის კუნძულებზე.

ჩრდილოეთით იტალიას საზღვრავს უზარმაზარი ალპის მთები, რომელიც იცავს მას ჩრდილოეთის სუსხიანი ქარებისაგან. იტალიაში ლამაზი ბუნება და საუცხოო ჰაეაა.

1924 წლის აღრიცხვით, იტალიაში მცხოვრებთა რაოდენობა 40 მილიონს აღწევს, რომლებსაც მცირეოდენ ტერიტორიაზე უხდებათ ცხოვრება (300 ათას კვად. კილომეტრამდეა მიწის სივრცე).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა ძალზე ლამაზია, ბუნებას, იგი მაინც არ დაუჯილდოვებია იმით, რაც საჭიროა მრეწველობის განვითარებისათვის. იტალიაში ქვანახშირი და ნავთი სრულიად არ მოიპოვება, რკინის მარაგიც ცოტაა.

რკინის მადნები მოიპოვენა კუნძულ ელბაზე და სარდინიაში, მაგრამ მათი მარაგიც ამ ადგილებში განსაზღვრულია. ამიტომ იტალია იძულებულია რამდენიმე მილიონი ტონა რკინა შეზიდოს.

იტალიის მრეწველობა.

იტალია ღარიბია ქვანახშირით, მაგრამ იქ ძალზე განვითარებულია „თეთრი ნახშირის“ ხმარება. იქ კარგადაა დაყენებული საავტომობილო მრეწველობა. ყოველწლიურად იტალია ასაღებს საზღვარგარეთ 12-13 ათას ავტომობილს. ავტომობილი „ფიატი“ ჩვენს კავშირშიც შემოაქვთ. ჩრდილო იტალიაში განვითარებულია საფეიქრო მრეწველობა (აბრეშუმეულობის ქსოვა); იტალიაში ბლომადაა აგრეთვე მაკარონის ქარხნები.

იტალიას საკუთარი პური არ ჰყოფნის და ამიტომ ყოველწლიურად იქიდან ასიათასობით მიდიან საზღვარგარეთ. ომამდე 5 მილიონი იტალიელი ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ამჟამად კი ნახევარ მილიონზე მეტი იტალიელი მიდის ყოველწლივ ამერიკაში სამუშაოს საძებნელად.

იტალია უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, მაგრამ უმეტესი ნაწილი იტალიის ტერიტორიისა მთებს უჭიროავს, ამიტომ ტერიტორიის მხოლოდ ნახევარია გამოყენებული მიწათმოქმედებისათვის. სოფლის მეურნეობაში გავრცელებულია შემდეგი კულტურები: პური, სიმინდი, ხეხილი (ფორთოხალი, ლიმონი), ვენახი, ზეთისხილისა და თუთის ხეები.

სასოფლო მეურნეობაში ყველაზე უფრო შეზოსავლიანია მევენახეობა და ზეთისხილის წარმოება. ზღვის ნაპირებზე განვითარებულია მეთევზეობა. შესაქონლეობა და ხე-ტყის წარმოება მოისუსტებს.

იტალიაში კონსტიტუციონური მონარქიაა, მეფეს ეკუთნის აღმასრულებელი ძალა-უფლება, რასაც ასრულებს იგი მინისტრთა საბჭოს საშუალებით. კანონმდებლობითი უფლება აქვს პარლამენტს, რომელიც შესდგება ორი პარლამენტისაგან: სენატი (რომლის წევრებად არიან მეფის მიერ დანიშნული პირები მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში) და ხალხისაგან ამორჩეული პალატა.

1922 წელს იტალიაში ფაშისტთა პარტიის დიქტატურა დამკვიდრდა, რომლის მოთავეა **მუსოლინი.** ფაშისტებმა შეიარაღებული ძალით ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება და კონსტიტუციას ანგარიშს არ უწევენ. ამჟამად ფაშისტებს პარლამენტში ჰყავთ 355 დეპუტატი და ქვეყანასაც ისე განაგებენ, როგორც სურთ. რას წარმოადგენს თავისთავად ფაშიზმი? ეს უაღრესად კონტრრევოლუციონური მოძრაობაა. ფაშისტებს სურთ საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობა სისხლში ჩაახრჩონ; ფაშიზმი წარმოიშვა იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ. იტალია თუმცა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ბანაკში იყო, იგი მაინც დასუსტებული და დაუძლურებული გამოვიდა ამ ომიდან. იტალიის მოტყუებული მუშები და გლეხები აღდგენ თავისი ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ეს მოძრაობა უფრო გაცხოველდა 1920 წლის შემოდგომაზე; ამ დროს ჩრდილოეთ იტალიაში მუშებმა ხელში ჩაიგდეს ფაბრიკა-ქარხნები, გლეხებმა კი მამულების მოტაცება დაიწყეს მემამულეებისაგან. აქ პირველად გამოაშკარავდა ფაშიზმის რეაქციონური სახე, რის შემდეგ ფაშისტებმა დაიწყეს მუშების და გლეხების სასტიკი დევნა. ფაშისტები 1922 წელს რომს (იტალიის დედაქალაქია) შეესიენ და იტალიაში თავისი ბატონობა დაამყარეს.

ფაშისტების მოთავე — ბენიტო მუსოლინი — ქვეყნის მართველი შეიქნა.

ფაშისტური პარტიის გარდა იტალიაში სხვა ბურჟუაზიული პარტიებიცაა, როგორც, მაგალითად, „ლიბერალური პარტია“, რომელიც მომხრეა იმ კონსტიტუციონური მართველობისა, რომელიც იტალიაში არსებობდა ფაშისტების გამარჯვებამდე. მაგრამ ეს პარტია, როგორც ვხედავთ ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგია. არის აგრეთვე სახალხო კათოლიკური პარტია „პოპოლიარი“; ამ პარტიას უფრო სოფლის სამღვდელოება თანაუგრძნობს, ეს პარტიაც ფაშისტების წინააღმდეგია.

არის იტალიაში წვრილ-ბურჟუაზიული პარტიაც, ეგრეთწოდებული „გლეხთა პარტია“.

იტალიაში მუშათა „სოციალისტურ“ პარტიას დიდძალი მუშები თანაუგრძნობდენ. განსაკუთრებით ეს პარტია 1919-20 წლებში გაძლიერდა, როდესაც პარლამენტში სოციალისტებს უმეტესობა ჰყავდათ, მაგრამ სოციალისტების ლიდერებმა უღალატეს იტალიის მუშათა კლასს და ბურჟუაზიას შეუთანხმდენ. ამიტომ ამ პარტიას 1921 წელს გამოეყო მუშათა კლასის ნამდვილი ინტერესების დამცველი — იტალიის კომუნისტური პარტია, რომელიც ფაშიზმს იარაღითაც კი ებრძოდა და ებრძვის.

იტალიაში ამჟამად კომუნისტები ფარულად მუშაობენ და, მიუხედავად მკაცრი დევნისა, მაინც სცემენ არალეგალურ კომუნისტურ გაზეთს „უნიტას“.

ფაშისტებმა იტალიაში შემოიღეს 10 საათის სამუშაო დღე, სასტიკად დევნიან მუშებს და ამიტომაა, რომ იტალიელი მუშები ათასობით გარბიან საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი მიდიან ავტრიაში.

იტალიის არმიის სათავეში მეფე დგას; ეს უკანასკნელი განაგებს სამხედრო საქმეებს სამხედრო და საზღვაო მინისტრის მეოხებით.

იტალიის ქვეითი არმია შესდგება მეტროპოლიის და ახალშენების ჯარებისაგან. სულ ამ არმიაში შედის 102 ქვეითი პოლკი, ორი გრენადერთა პოლკი, ცხენოსანი ჯარი კი 12 პოლკისაგან შესდგება.

არტილერია 41 საარტილერიო პოლკისაგან შესდგება. არის საინჟენერო და აგრეთვე მეფის „კარაბინელთა“ კორპუსი.

იტალიას თუფ ქვეშ რეგულარული ჯარის სახით 350 ათასი კაცი ჰყავს. მისი ფლოტი საფრანგეთის ფლოტზე დაბლა დგას. იტალია ცდილობს საფრანგეთს არ ჩამორჩეს და თანდათან აძლიერებს საბჭოდრო ფლოტს.

იტალია დაინტერესებულია, რომ ვაჭრული ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირთან, საიდანაც უმთავრესად შედის პური, ქვანახშირი და ნავთი.

ინგლისი ცდილობს სხვა სახელმწიფოებთან ერთად იტალიაც აამოძრაოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ფაშისტურ მთავრობასთან ახლო მდგომ მსხვილ ბურჟუაზიას ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჯერჯერობით არ სურს, ვინაიდან ეს ხელს შეუშლიდა იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის წარმოებას.

ალ. ფორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ალიო მაშაშვილის

ლ ე ნ ი ნ

მუსიკა კოკელაძის



გფიცავთ: შენს დროშას ვატარებთ მაღლა,
დავეხმარებით შრომაში დაღლილთ,

ლენინ, შენს თვალებს ჩვენ არ დავძარხავთ,
ლენინ, შენს თავზე მიწას არ დავყრით!

1929 წ.

გამოდის — გამოდის

საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალები

მოზრდილთათვის

პიონერი

ორკვირეული — IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მცირეწლოვანთათვის

„ოქტომგრელი“

ყოველთვიური — III წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომგრელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომგრელი“-ს რედაქცია

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი № 22.

მთავარლიტ № 177. შეკ. № 45. ტირაჟი 1000.